# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 23 ნოემბერი 2006 №272 (2894) ფასი 50 თეთრი


# განტევების მოტივაცია

## მაურინიუმ ბარსელონა დანის პირზე შეაგდო



ვერდერი — ჩელსი 1:0. პერ მერტესაკერის თავური „ბარსას“ კარში უფრო გავიდა...

# თასის მაძიებლები შემადგენლობებიანად შეთხელდნენ

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურმა დასაწყობი დააწყო — მიუხედავად იმისა, რომ სენსაციები გამოერია, თითქმის ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვა.

ამაზე მეტი სიურპრიზი რაღა გინდათ: „ვიტ ჯორჯიამ“ ვერც მეხუთე თამაშში გაიტანა გოლი! დუბლებით და უმთავარმწვრთნელოდ მოთამაშე ვიტელებმა ქუთაისში 0:1 წააგეს „ტორპედოსთან“ და ჯგუფში ჩარჩნენ.

კარგი საყურებელი გამოვიდა რუსთაველი „ოლიმპი“ — „დინამო“, სადაც ასევე მეორე შემადგენლობით მოთამაშე მასპინძლებმა დუშან უჰრინის ოპტიმალურ კრებულს ჯერ 0:1, მერე კი 1:2 შემოუტრიალეს და საბოლოოდ 3:2 სძლიეს. და მაინც, „ოლიმპის“ ჯგუფიდან გასვლა წარმოუდგენლად ჩანს — საამისოდ ბოლო ტურში დინამოელებმა უმოტივაციო საჩხერის „ჩიხურასთან“ შინ უნდა წააგონ.

ტაიფუნივით დასაწყისი ჰქონდა „ზესტაფონ“ — „ამერს“. ფეროელებმა საწყის 17 წუთში ოთხი გოლი გაუტანეს საგრძნობლად შემადგენლობა შეთხელებულ სტუმრებს და, მართალია, ერთი გაუშვეს, მაგრამ, სავარაუდოდ, პირველ ადგილს მაინც გამოჰკრავენ ხელს.

ამათ დავუმატოთ „სიონი“ და „ბათუმი“, რომლებმაც D ჯგუფში ისევ იმარჯვეს და მეოთხედფინალი გაინაღდეს.

ასე რომ, ექვსი გუნდი უკვე გავიდა სამშვიდობოს, ორ ვაკანსიას კი ბოლო ტურში, ალბათ, „ამერი“ და „დინამო“ შეავსებენ.



დინამოელმა სანდრო იაშვილმა „ოლიმპს“ გოლები არ დააკლო, მაგრამ...

მომდევნო „სარბიელი“ გამოვა შაბათს, 25 ნოემბერს

# დემეტრაძეს შახტარი უფრო მოსწონს...

## მეტალურგის ქართველი ორს თამაშობს, ორს ისვენებს



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე ბოლო დროს დონეცკის „მეტალურგის“ ძირითად შემადგენლობაში აღარ ჩანს. მან საქართველო — ურუგვაის ამხანაგურ მატჩამდეც გამოტოვა ერთი შეხვედრა უკრაინის ჩემპიონატში და არც ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ უთამაშია. ესეც რომ არა, ამ სეზონში ჩვენიანი ფორვარდი უკრაინაში ისე ველარ გამოირჩევა, როგორც ადრე და სწორედ ამის გამო დავუკავშირდით გუშინ მას დონეცკში...

— უთამაშებლობის მიზეზები არ ვიცი. მწვრთნელს რაღაც თავისებური როტაციის პრინციპი აქვს, ზედიზედ ორ მატჩს ძირითადში მათამაშებს, შემდეგ ორს თამაშს კი სხვა თავდამსხმელს აძლევს. სანაკრებო მატჩიდან დაბრუნებულს უნდა მეთამაშა, მაგრამ წინა დღით მწვრთნელმა გამოაცხადა, ვინც ნაკრებში იყო გამოძახებული ახლა დაისვენებსო. ჩემ გარდა კიდევ ოთხი ფეხბურთელი იყო თავიანთ ნაკრებებში გამოძახებული და არც ერთი გვათამაშა.

— არც „მეტალურგის“ მწვრთნელს არ სიამოვნებს თავისი ფეხბურთელების ნაკრებებში გამოძახება და ამიტომ არ გათამაშათ?

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე არ ყოფილა. ისე გამოდის, მწვრთნელი უახლოეს მატჩში მათ ათამაშებს, ვინც მის თვალწინ ემზადება ხოლმე. სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ „მეტალურგმა“ ძირითადი შემადგენლობას ოთხი-ხუთი ფეხბურთელის გარეშე ითამაშა და ალბათ ამიტომაც წავაგეთ 1:2.

— და მომავალ ტურში ითამაშებ?

— ვითამაშებ. მით უმეტეს, კვირას ცხრილში უშუალო კონკურენტ „დნიპროს“ ვმასპინძლობთ. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის, თანაც ჩემპიონატის პირველი წრე მთავრდება და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— ისე, „მეტალურგისთვის“ ცხრილში მერვე ადგილი ცოტა უჩვეულოა...

— ეგრეა, მაგრამ ახლა „დნიპროს“ თუ მოვუგეთ, მეოთხე ადგილზე ავინაცვლებთ, მთლიანად ჩემპიონატს კი ალბათ ისევ მესამეზე დავამთავრებთ. „დნიპრო“ ამჟამად სამი ქულით გვისწრებს და კვირას, რომ იტყვიან, ექვსქულიანი თამაში გვაქვს.

— „მეტალურგს“ და სხვა გუნდებს „დინამოსა“ და „შახტარის“ კონკურენციის შანსიც არ აქვთ?

— არა, „დინამო“ და, განსაკუთრებით „შახტარი“, დანარჩენებზე ორი თავით მაღლა დგანან. შეიძლება, ამ გუნდებმა ერთი-ორი თამაში წააგონ, მაგრამ პირველ-მეორე ადგილებს მათ მაინც ვერავინ შეეცილება. თავად კი „დინამოზე“ მეტად „შახტარის“ ფეხბურთი მომწონს, ფრო ლამაზად, სანახაობრივად თამაშობს.

— „დნიპროსთან“ მატჩის შემდეგ პირდაპირ თბილისში ჩამოხვალ?

— არ ვიცი... თუმცა პირველი წრე რომ დამთავრდება, ორი კვირა მაინც დონეცკში უნდა დავრჩე, ვარჯიშები გაგრძელდება.

**კობა ინასარიძე**

# ლევანის ლევანტე კვირას გაირკვევა



**16 წლის** ლევან ყენია რომ ესპანურ „ლევანტეში“ ისინჯება, გეცოდინებათ. ნიჭიერი ქართველი ნახევარმცველი დაახლოებით ერთი კვირის წინ ჩავიდა ვალენსიურ კლუბში, ტესტ-მატჩშიც ითამაშა „ლევანტეს“ 1988 წელს დაბადებულთა გუნდში და გოლით და ორი საგოლე პასით გამოირჩა.

ყენია ჯერ იმ ასაკისა არ არის, ოფიციალური კონტრაქტი გაუფორმონ. როგორც წესი, 18 წლამდე ასაკის არაევროკავშირელ მოთამაშეებთან კონტრაქტი ნებადართული არ არის. გამონაკლისები კი არსებობს, ოღონდ საამისოდ ფეხბურთელმა კარგა ხანი უნდა გაატაროს ამ კლუბში და გარკვეული რაოდენობის ამხანაგური მატჩებიც უნდა ჰქონდეს ნათამაშები.

როგორც შევიტყვეთ, „ლევანტეს“ ლევანი ძალიან მოსწონებია და გუნდში დატოვების სურვილიც გამოუთქვამს — ყენია კვირას ჩამოვა თბილისში და საბოლოოდ მაშინ გაირკვევა, „ლოკომოტივში“ დარჩება თუ ესპანეთში გააგრძელებს კარიერას.

**ილია ნანობაშვილი**



# უზადო გვაზავა

## რუსებმა ნახევრადქართული და ქართული გამოარჩიეს

**რუსული** პრემიერლიგის ბოლოსწინა, 29 ტურის საუკეთესო გოლად ლევან გვაზავას მიერ სამარის „კრილია სოვეტოვის“ კარში გატანილი დაასახელეს. გამოკითხვას, ტრადიციულად, „სპორტ-ექსპრესი“ ატარებს და ყველა გამოკითხულმა პირველ ადგილზე გვაზავა დააყენა. ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველმა ნახევარმცველმა „კრილიასთან“ პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ულამაზესი გოლით გამოიჩინა თავი — ლევანმა ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, წინ წაიწია და დაახლოებით 30-32 მეტრიდან ტყვიასავით გაისროლა — ბურთი მეკარისგან შორეულ მაღალ კუთხეში შეფრინდა.

გვაზავამ მთელი 13 ქულით გაასწრო მეორეადგილოსან არმიელ ვაგნერ ლავს.

კიდევ ერთი, ოღონდ ნახევრადქართული გოლი კი მეოთხე ადგილზე გავიდა — ლოკომოტიველი გიორგი ჭელიძის უზადო პასით შაკერ ზუაგის მიერ გატანილმა გოლმა 8 ქულა დააგროვა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# საქართველოს 25 და 3 მოემატა

## კოკა-კოლას ისევ ბრაზილია სჯამს

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგსიაში სამი საფეხურით აიწია და 95-ე ადგილზეა. კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილ გუნდს ურუგვაისთან 2:0 მოგებამ 25 ქულა მოუმატა, ამ დროს კი ურუგვაელები მეჩვიდმეტედან ოცდამეცხრე ადგილამდე ჩაქვეითდნენ...

ოთხი თვეა, რაც „ფიფა-კოკა-კოლას“ რეიტინგი ახლებური სისტემით დგინდება და წინამორბედთან შედარებით (სადაც ბოლო 8 წლის მონაგარი ითვლებოდა) ლოგიკურიცაა, მაგრამ უცნაურობებს აქაც ვაწყდებით: მაგალითად, რატომ არიან საქართველოზე წინ სენტ ვინსენტი და გრენადინი, ჰაიტი, ომანი...

რეიტინგს კი კვლავ ბრაზილია ყოჩობს, მეორე იტალიაა, ხოლო არგენტინამ საფრანგეთს გადაასწრო და მესამე ადგილიდან მეოთხეზე დააქვეითა.

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 1588 | 9 | (11) | ნიგერია | 1242 |
| 2 | (2) | იტალია | 1560 | 10 | (8) | ჩეხეთი | 1190 |
| 3 | (4) | არგენტინა | 1551 | 13 | (13) | უკრაინა | 1054 |
| 4 | (3) | საფრანგეთი | 1523 | 24 | (25) | შოტლანდია | 847 |
| 5 | (5) | ინგლისი | 1359 | 70 | (70) | ლიტვა | 453 |
| 6 | (6) | გერმანია | 1348 | 95 | (98) | საქართველო | 327 |
| 7 | (7) | ჰოლანდია | 1305 | 185 | (185) | ფარერები | 31 |
| 8 | (9) | პორტუგალია | 1258 | | | | |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

www.pfl.ge



ზესტაფონელთა გამარჯვებაში ზურაბ იონანიძემ (№2) ორგოლიანი წილი დაიდო

# შეწყვეტილი სერია
## ზესტაფონმა მომენტი და მომენტები იხელთა

ზესტაფონი. 22 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 2 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 4:1 ამერი

1:0 ვიეირა (2), 2:0 ფიფია (10), 3:0, 4:0 იონანიძე (15, 17), 4:1 ტატანაშვილი (32)

ზესტაფონი: ჭანტურია, ე. საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი (ძამსაშვილი 79), ნ. კვასხვაძე (ბ. ნოზაძე 73), განუგრავა, გ. ჭელიძე, ვიეირა, ფიფია (სანტოსი 90), იონანიძე
სათადარიგონი: ჯალაღონია, იმედაძე, გოცირიძე, ხიდეშელი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი (ქვაჩახია 22), კედელაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, დავითნიძე, ნიკოლაიშვილი (სევასტოპულო 52), დეკანოსიძე, ტატანაშვილი, სილაგავა, დიდავა, ჩიკვილაძე (გაბისკირია 23)
სათადარიგონი: დ. მჭედლიშვილი, ფირანიშვილი, წაბრია
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (19), დიდავა (42), განუგრავა (88)
მსაჯები: მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე, ზ. ფიფია, ჯ. ბუიშვილი
დამკვირვებელი: ბ. მჭედლიშვილი; დელეგატი: რ. ტალიაშვილი

**კოტე კეკელია ზესტაფონიდან**

**ამერელმა** დიმიტრი ტატანაშვილმა 32-ე წუთზე გრიგოლ ჭანტურიას კარში ულამაზესი გოლი რომ გაიტანა, არც მას და არც სხვა ამერელებს სიხარულის ნიშანწყალიც არ დასტყობიათ, რაკი თამაში იმ დროისთვის, ფაქტობრივად, დასრულებული იყო — „ზესტაფონი“ უკვე მე-17 წუთისთვის ოთხი ბურთით იგებდა...

ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში „ამერი“ „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრობს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ზესტაფონში თამაშისთვის მზადებისას მცხეთურ მატჩზეც ფიქრობდა. ამადაც იყო, რომ ზურაბ ქვაჩახია და დავით მჭედლიშვილი მატჩის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე შეხვდნენ, გიზო ჯელაძე, დავით ბოლქვაძე და რატი წინამძღვრიშვილი მწვრთნელმა საერთოდ არ იახლა ზესტაფონში, სულიკო დავითაშვილი და დენის დობროვოლსკი ისედაც ტრავმებს იმუშებენ, გრიგოლ დოლიძე კი დისკვალიფიცირებული იყო.

ამის საპირისპიროდ, „ზესტაფონმა“, რომელიც პირველი წრის ბოლო ტურში „ბორჯომს“ მასპინძლობს, თავს მოედანზე საბრძოლო შემადგენლობის გაყვანის უფლება მისცა.

და მაინც — მე-17 წუთისთვის ოთხბურთიანი ჩამორჩენის არც ახსნა და არც გამართლება შესუსტებული შემადგენლობით არ შეიძლება. მიზეზი უხეშ შეცდომებში უნდა ვეძიოთ, რამაც გიორგი ჩიხრაძე აიძულა, უკვე 23-ე წუთისთვის ორი შეცვლა განეხორციელებინა — „ამერის“ მწვრთნელმა მეკარე და მცველი შეცვალა.

მე-2 წუთი: ნიკა კვასხვაძემ ვიეირას დაუგორა, ამის არცთუ ძლიერ დარტყმულს ლადო ნადირაშვილი კი გადაეფარა, მაგრამ ბურთი როგორღაც გაუსხლტა და 0:1.

მე-10 წუთი: გოგი ფიფიამ, რომელსაც ორი წუთით ადრე ოფსაიდის გამო გოლი არ ჩაუთვალეს, თავისი მაინც გაიტანა — საჯარიმო მოედნის მისადგომიდან მაღალ კუთხეში დაარტყა.

მე-15 წუთი: ჩაწოდებულ ბურთს მეკარის ბაქანთან ზურაბ იონანიძემ თავი დაუხვედრა და ანგარიში გაასამა.

მე-17 წუთი: უმტკივნეულო სიტუაციაში ამერელებმა ვერ გაარკვიეს, ვის უნდა მოეგერიებინა ბურთი, რითაც იონანიძემ ისარგებლა, ყველას დაასწრო და ამ მატჩში ბოლო ზესტაფონური გოლი შეაგდო.

ჩემპიონატსა და თასზე „ამერი“ 16-მატჩიან წაუგებელ სერიას რომ შეწყვეტდა, ცხადი გახდა, თუმცა საბრძოლო კიდევ იყო — თუ „ამერი“ ორი გოლის გატანას მოახერხებდა, თანაბარქულიან „ზესტაფონს“ ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი შეფარდებით აჯობებდა და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების უკეთეს შანსს მიიღებდა.

ორი ბურთი არ გამოვიდა — „ამერი“ ტატანაშვილის ერთ შედეგიან დარტყმას დასჯერდა, თუმცა მეორე ტაიმში საგოლე მომენტები ჰქონდა. იური გაბისკირიას დარტყმული ბურთი ჭანტურიამ ცხრიანიდან ჩამოხსნა, გიორგი დავითნიძეს კი მეკარემ ბაქნიდან თავით დარტყმული აულო.

უკეთესი მომენტები კი მაინც ზესტაფონელებს ჰქონდათ და რამდენჯერმე ქვაჩახიამ კარი აშკარა გოლისგან იხსნა. ბოლო წუთებზე კი თავად ქვაჩახია გადარჩა — ბურთი უკვე ალებული ჰქონდა, ზესტაფონელი ფორვარდის ფეხი სახეში რომ მოხვდა.

ამგვარად, „ზესტაფონი“ მეოთხედფინალშია, თასის მფლობელ „ამერს“ კი საამისოდ ბოლო ტურში შინ „კახეთთან“ არწაგება მართებს.

**A ჯგუფი**

**კახეთი 3:0 სპარტაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| კახეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:11 | 1 |

# რა გვეთასება
## უფროს ტორპედოს პატარა ვიტ ჯორჯია შემოემარცხა

ქუთაისი. 22 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 1:0 ვიტ ჯორჯია

1:0 მუშკუდიანი (57)

ტორპედო: კოდალაევი, გოგია, გამეზარდაშვილი, გურული, ზ. ჩხეტიანი, გ. ჩხეტიანი, კრასოვსკი (ა. კვერნაძე 61), ლალაძე, მ. ლონლაძე, დოლონაძე (ცქვიტაია 68), მუშკუდიანი (თ. უგრეხელიძე 76)
სათადარიგონი: ქვილითაია; ნ. ნადირაძე, ჭედია, ვაჩიბერაძე
მწვრთნელი: იური კვერნაძე

ვიტ ჯორჯია: ლურბელეიშვილი, პირველი, ადამაძე, კაიშაური, თ. ლონლაძე, კვალინაძე, ბეჟვაია, უშარაული (კლიმიაშვილი 59), ლუჟაშვილი (ჯიქიძე 82), ბერიაშვილი, ლიპარტია
სათადარიგონი: ჯოლოგუა, ჭოველიძე, აფციაური
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება: ადამაძე (58), გ. ჩხეტიანი (63)
მსაჯები: დ. სანაია; ზ. ხუციშვილი, ო. მოლოდინაშვილი; მ. ნაკაიძე
დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დელეგატი: ვ. ქორიძე

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

„ტორპედო“ და „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში ლიდერებს, „ოლიმპს“ და „ამერს“ ხვდებიან, ამიტომ სათასო მატჩისთვის ქუთათურებმა ძალები ოდნავ თუ დაზოგეს, ვეტერინარებმა საერთოდ მეორე შემადგენლობით ითამაშეს.

პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — მე-13 წუთზე არმაზ დოლონაძის ახლოდან დარტყმული შოთა ლურბელეიშვილმა მოიგერია. ზუსტად სამ წუთში კი გიორგი ბერიაშვილმა კარიდან გამოსული ტორპედოელთა მეკარე შენიშნა და ბურთის თავზე გადაგდება სცადა, თუმცა ხარიხას მოარტყა...

57-ე წუთზე მასპინძლებმა საგოლე კომბინაცია გაითამაშეს — მოედნის ცენტრში ალექსანდრე ლალაძემ ბურთი გოგი ჩხეტიანს გადააწოდა, ის ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში მოძებნა ზურაბ მუშკუდიანი, რომელმაც დასწრებაზე ითამაშა და 1:0.

დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა...

**B ჯგუფი**

**ბორჯომი 3:1 მესხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ბორჯომი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 0 | 3 | 2 | 0:2 | 3 |
| მესხეთი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:4 | 3 |

# ბათუმელების ბოლო ბანაობა
## ირაკლი თოთლაძის საქმე წაღმა მიდის

**26 ნოემბერს** პირველი წრის ბოლო ტურია და „ბათუმიც“ ბოლო მატჩს ჩაატარებს „დინამოს“ სტადიონზე, 27-იდან კი ეს სარბიელი დაიცლება და მის ადგილას მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა დაიწყება — ეს ინფორმაცია „ბათუმის“ უფროსმა თამაზ ცინარიძემ მოგვაწოდა და საინტერესო სხვაც გვითხრა...

სასტუმრო ჰო, მაგრამ სად ითამაშებენ ზღვისპირელები? ჩამი ვარიანტია: ქობულეთის „ანგისას“ სტადიონზე ან ადლეში, სადაც აქამდე რეგიონალლიგის გუნდი თამაშობდა და, როგორც ცინარიძემ გვითხრა, ნორმალურ მდგომარეობაშია.

სამაგიეროდ, ორ წელიწადში ბათუმში ახალი თანამედროვე სტადიონი წამოიჭიმება, რომლის მშენებლობაზეც კონკურსია გამოცხადებული. ასე რომ, ორ წელიწადში უკვე ნაკრებებსაც შეეძლებათ აქ თამაში“.

რაც შეეხება „ბათუმის“ შიდა სამზარეულოს, ჯერჯერობით სიახლე არაფერია — ამირან მუჯირის აზერბაიჯანულ „ბაკიში“ გადასვლა რომ გადაწყვეტილია, ეს გეცოდინებათ.

ცინარიძემ გვითხრა, მეორე წრიდან აუცილებლად დავიმატებთ ფეხბურთელებსო.

მყვირალა და უსიამოვნო სიახლე ამ ერთი კვირის წინ იყო „ბათუმში“ — მეკარე ირაკლი თოთლაძის დაკავებას ვგულისხმობთ. გეხსომებათ, 21 წლის გოლკიპერს ჩხუბში მონაწილეობა წაუყენეს ბრალად და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

ცინარიძე იმედიანადაა, სავარაუდოდ, ირაკლის ვადაზე ადრე გაათავისუფლებენო: „ყველა ინსტანცია ჩაბმულია ამ საქმეში, პროცესი მიმდინარეობს და ყველაფერს ნათელი მალე მოეფინება. უდანაშაულო კაცს ნამდვილად არ დასჯიან, ამის იმედი გვაქვს. შესაძლოა, ირაკლის საქმე სულაც ერთ კვირაში დადებითად გადაწყდეს.“

**ილია ნანობაშვილი**

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური



ზედიზედ მეორე მატჩია, სანდრო იაშვილს ორ-ორი გააქვს



თორნიკე აფციაურმა (შუაში) ულამაზესი გოლი გაიტანა

# არჩევანი გემოვნებით: ოლიმპმა დუბლებით მოიგო თუ დინამომ წააგო დუბლებთან

**დავით თავართქილაძე რუსთავიდან**

„ოლიმპის" და „დინამოს" სკანდალური წყვილის წლევანდელი ბოლო დაპირისპირება სენსაციური შედეგით დასრულდა — რუსთავის „ოლიმპმა", ფაქტობრივად, მეორე გუნდით ითამაშა, პირველი გუნდიდან ოდენ მიხეილ მახვილაძე, თორნიკე აფციაური და ბესიკ მიქიაშვილი ჰყავდა, ვინც არცთუ ხშირად ხვდება ძირითადი გუნდის შემადგენლობაში.

ნამატჩევს „ოლიმპის" თავკაცმა გიორგი კიკნაძემ თქვა, ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი და ჩემი ფეხბურთელების მადლობელი ვარო. დუშან უჰრინმა კი დასძინა, პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში მხოლოდ ვიბრძოდით, ორჯერ კი გოლისგან მეკარეს უნდა გადავერჩინეთო.

„ოლიმპს" ოთხი დღის წინ საკმაოდ ძნელი თამაში ჰქონდა ჩემპიონატში „ამერთან" და კიკნაძემაც მომდევნო საჩემპიონატო მატჩისთვის დაასვენა ძირითადი შემადგენლობის ბირთვი.

...თორნიკე აფციაურმა 17-18 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა ჯარიმა; სანდრო იაშვილმა ტარანივით შეანგრია „ოლიმპის" დაცვა და რევაზ ნაჭყეპიამ მისი დარტყმული ხელებში მოიგდო; გია თოდუას შორეული დარტყმა სოსო გრიშიკაშვილმა მუშტებით მოიგერია — მოკლედ, ხალისიანად, ჟინიანად დაიწყო შეხვედრა.

იაშვილმა თავისივე მონადირებული 11-მეტრიანით დააწინაურა „დინამო" — სანდრომ პენალტის დარტყმის უფლება ბესიკ მიქიაშვილთან ორთაბრძოლაში მოინაგრა.

იმ დროისთვის თამაში უკვე „დინამოს" კარნახით მიდიოდა და გოლის შემდეგაც „ოლიმპს" ბევრი არაფერი გამოსდიოდა შეტევაში.

„დინამო" მეტწილად იაშვილით ემუქრებოდა მეტოქეს — სანდროს ერთი თავური არაზუსტი გამოდგა, მეორედ კი ბურთი მცველმა გამოიტანა კარიდან.

ორი ცდა დასჭირდა აფციაურს ანგარიშის გასათანაბრებლად — ჯერ ოციოდე მეტრიდან მოხდენილი დარტყმით ოდნავ ააცილა მიზანს, მერე კი სუპერგოლი გაიტანა — მეტოქე „პადსებიათი" გააცურა და მარჯვენა ფეხით ძელ-ხარიხის გადაკვეთასთან შეაწყვიტა ბურთი ბადეს.

„დინამოს" ხელმეორედ დასაწინაურებლად შვიდი წუთი დასჭირდა — შოთა კაშიამ „ოლიმპის" შეტევა შეაჩერა და უზუსტესი პასით იაშვილი ნაჭყეპიას შეატოვა — 1:2.

მეორე ტაიმში კიკნაძემ „ოლიმპის" პირველი გუნდის ორი ფეხბურთელიც დაასვენა — აფციაური და მიქიაშვილი — და ვინლა იწინასწარმეტყველებდა ოლიმპელების გამარჯვებას?

შეცვლაზე შესულ ზურაბ ნეფარიძის ბურთთან პირველი შეხება გოლით დასრულდა — მან არცთუ ახლოდან და არცთუ ძლიერად დაურტყა გრიშიკაშვილს, თუმც ისე ჩანდა, რომ დინამოელთა მეკარე დარტყმის მომენტს კარგად ვერ ხედავდა.

დინამოელებში ჩამქრალი მონდომებით ოლიმპიელებმა ერთხელაც ისარგებლეს — მახვილაძემ ფლანგური ჯარიმა შეასრულა, მცველების ზურგსუკნიდან გია თოდუა გამოქანდა და 3:2.

„დინამოს" ამის შემდეგ თუ მოემატა ფხა, მაგრამ ის ჯანი არ ემჩნეოდა, რითაც თამაში უნდა შემოებრუნებინა.

ლევან ხმალაძის შორეული დარტყმა ნაჭყეპიამ მოიგერია, ნაკუთხურალ ბურთს იაშვილმა დაამგერა თავი და ისიც „ოლიმპის" მეკარის ნადავლი შეიქნა — ესღა მოახერხა „დინამომ".

მიუხედავად მყვირალა სამი ქულისა, „ოლიმპს" ჯგუფური ეტაპის დაძლევის ისევ მისხალი შანსი აქვს...

რუსთავი. 22 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი. 300 (ტევადობა 12 000)

### ოლიმპი 3:2 დინამო

0:1 იაშვილი (18პ), 1:1 აფციაური (37), 1:2 იაშვილი (44), 2:2 ნეფარიძე (59), 3:2 გ. თოდუა (69)

| | |
|---|---|
| **ოლიმპი:** ნაჭყეპია, სამსონია, კეკოშვილი, კაკაბაძე, ჭაფოძე, მახვილაძე, აფციაური (ზ. ნეფარიძე 58), ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი, გ. თოდუა, მიქიაშვილი (მაჭავარიანი 46) *სათადარიგონი:* მ. ალავიძე; კოსტავა, თორდია, ოდიშარია **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე | **დინამო:** გრიშიკაშვილი, გ. კაშია, შ. კაშია, გიგაური, აკობია (ლ. ნოზაძე 82), ხმალაძე, დ. ოდიკაძე, ს. კობახიძე, ხუციშვილი (გ. მერებაშვილი 62), ს. იაშვილი, ჯ. დვალი (ბობოხიძე 62) *სათადარიგონი:* სტურუა; თომაშვილი, ჩირიკაშვილი, გრიგალაშვილი **მწვრთნელი:** დუშან უჰრიანი |

**გაფრთხილება:** აკობია (47), ხმალაძე (75), მერებაშვილი (85), სამსონია (88)

**მსაჯები:** ხარიტონაშვილი; მ. ელიკაშვილი, ლ. თოდრია; შ. ქუხილავა

**დამკვირვებელი:** ა. კაჭახიძე; **დელეგატი:** შ. ბაქრაძე

### C ჯგუფი

**ჩიხურა 1:1 ნ. დინამოელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 12:6 | 9 |
| ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ნ. დინამოელი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 0 |

# მერანმა ბათუმს სიონი გააყოლა
## სტვენა და შვება

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**თბილისის** „მერანს" მომდევნო ეტაპზე გასვლის მცირეოდენი შანსი ჰქონდა, რომელიც „სიონმა" და ილია ქემაშვილმა „შევარდენის" სტადიონზევე დატოვეს.

საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია. შემდეგ კი ბოლნისელთა უპირატესობა გამოიკვეთა.

მე-12 წუთზე ერიკ რომეო ჩასემი სამ მცველს გასცდა, მაგრამ ბურთი კახა გლუნჩაძეს პირდაპირ ხელებში დაურტყა. ორიოდ წუთში კი ზაზა კარსანიძეს აული მინდია ბობლიაშვილმა.

ამის მერე თამაში ოდნავ დაწყნარდა. „სიონს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, თანაც ფრე მისთვის ხელსაყრელი შედეგი იყო. სტუმრებმაც ბურთი დაიჭირეს და მეტოქეს შეტევის საშუალება მოუსპეს. პირველ ტაიმში „სიონს" გოლის გატანაც მართებდა — „მერანის" მცველები უხეშად შეცდნენ, გასტონ ევოჩეს გასროლილი გლუნჩაძემ უკუაგდო, დამატებაზე კი იმავ ევოჩემ ვერ ივარგა.

ბოლნისელები თამაშს მეორე ტაიმშიც აკონტროლებდნენ და მეტოქის შეცდომას ელოდნენ. ეს კი 67-ე წუთზე მოხდა — „მერანმა" ხელოვნური თამაშგარეს შექმნა სცადა, მაგრამ მიხეილ კობაური სიღრმიდან გაეპარა, სიონელმა ფლანგზე ათიოდე მეტრი გაირბინა და საჯარიმოში ჩაწოდება სცადა, თუმც ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და კარში ჩაეშვა — 0:1.

დაწინაურებული „სიონი" უფრო დამშვიდდა და „მერანს" სათამაშო სივრცე დაუთმო.

75-ე წუთზე მოედანზე ახალშესულმა ლაშა მანწკავამ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარში სუსტად გაგზავნა. 81-ეზე ბობლიაშვილმა გიორგი ოსიტაშვილის სუსტი დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა, ქემაშვილმა ბოლომდე იბრძოლა და ბოლნისელთა მეკარე იძულებული გახდა, ფორვარდი აკრძალული ხერხით შეეჩერებინა. პენალტის დარტყმა თავად ქემაშვილმა ითავა, მაგრამ იმდენად უხეიროდ დაარტყა, რომ ყველა გააოცა.

სამ წუთში ქემაშვილს შეცდომის გამოსწორება შეეძლო, ბოლნისელი მცველები პოზიციურად შეცდნენ, ქემაშვილი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ბურთი ღრუბლებში გაგზავნა.

„მერანი" მიხვდა, რომ შეხვედრას ველარ შემოაბრუნებდა, არც „სიონი" იკლავდა თავს. თამაშის ბოლო წუთებს ორივე გუნდი ითვლიდა — ერთი სული ჰქონდათ, მალხაზ ბეუქლიშვილის საფინალო სასტვენის ხმა გაეგონათ.

თბილისი. 22 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი. 80 (ტევადობა 2 000)

### მერანი 0:1 სიონი

0:1 კობაური (67)

*ქემაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (81, ააცილა)*

| | |
|---|---|
| **მერანი:** გლუნჩაძე, დათუნაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ბეჟანიშვილი, შველიძე (თურქია 34), ოსიტაშვილი, ფურთუხია, მაილაშვილი, ნეფარიძე, ქემაშვილი, კარსანიძე (ლ. მანწკავა 75) *სათადარიგონი:* სეფიაშვილი; სულაქველიძე, შოშიაშვილი **მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი | **სიონი:** ბობლიაშვილი, კობაური, ფრიდოლინი, ზ. ჭელიძე, ოქროპირიძე (სვანიძე 20), რაქვიაშვილი, ვ. უგრეხელიძე, ა. ალავიძე (კვიტაიშვილი 65), ევოჩე, ჩასემი, ბ. ცხადაძე (ქარდავა 65) *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; შავგულიძე, ქურასბედიანი, გაბრიჩიძე **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე |

**გაფრთხილება:** ბეჟანიშვილი (90)

**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, დ. კურტანიძე, ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** ა. კარანაძე; **დელეგატი:** პ. ბურჯალიანი

### D ჯგუფი

**ბათუმი 3:0 მეშაქრე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ბათუმი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:2 | 11 |
| მერანი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| მეშაქრე | 5 | 0 | 0 | 5 | 0:11 | 0 |

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ იტალიურ ფეხბურთში წესები უნდა შეიცვალოს. კერძოდ, სინიორ გალიანი ეკონომიკური წესების ცვლილებას გულისხმობს და ამბობს, რომ ამ საქმეში ესპანელთა მიბაძვაა საჭირო



# ჟამი ნახევარგოლებისა

## რატომ მიგორავს ესპანეთში ოქროს ბურთი? შეცვალეთ საგადასახადო სისტემა

„ჩვენ, მაგალითად, კაკას შესანარჩუნებლად მაქსიმუმი გავაკეთეთ, ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გავუფორმეთ, მაგრამ სატრანსფერო ბაზარზე უპირატესობა მაინც ესპანურ გუნდებს ექნებათ — განაცხადა შავ-წითელთა ვიცე პრეზიდენტმა — ესპანელებს ჩვენთან შედარებით გაცილებით მოქნილი ეკონომიკური სისტემა აქვთ. ისინი არაევროკავშირელ ფეხბურთელებს ნაკლებად ბეგრავენ და სხვა შეღავათებითაც უხვად აჯილდოვებენ. მერედა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენ ევროპის გარედან მოთამაშის მოყვანა გვინდა, მაგრამ მისი პასპორტი გვიშლის ხელს. ამ ყველაფრისადმი მიდგომა თუ არ შეიცვალა, სერია A-ს გუნდები სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოჩნდებიან ჩემპიონთა ლიგის ფინალებში“.

აღსანიშნავია, რომ წლეულს „მილანის“ ინტერესი რამდენიმე ფეხბურთელთან, მაგალითად, კაკას, იგუაინისა და მარსელოსთან დაკავშირებით, მადრიდის „რეალის“ ინტერესებთან გადაიკვეთა.

გალიანი განაგრძობს: „შეადარეთ „მილანისა“ და „ინტერის“ ათი წლის წინანდელი და ახლანდელი სატრანსაფერი აქტიურობა. სურათი სრულიად განსხვავებულია. არაევროკავშირელებზე დაწესებული ლიმიტის გამო აშკარაა, რომ იტალიიდან ცნობილი ფეხბურთელები მიდიან. ამ ზაფხულს „ოქროს ბურთის“ ორმა ლაურეატმა, ანდრეი შევჩენკომ და ფაბიო კანავარომ ამჯობინეს სერია A-დან წასვლა. რამე თუ არ ვიღონეთ, ჩვენი ფეხბურთის მომავალი ეჭვქვეშ დადგება“.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ გალიანიმ ფაბიო კანავარო უკვე „ოქროს ბურთის“ ლაურეატთა შორის მოიხსენია. როგორც ჩანს, პარიზიდან გამოჟონილი ინფორმაცია იმდენად უტყუარია, რომ თანამედროვე ევროპა გამოკითხვის ორგანიზატორის „ფრანს ფუტბოლის“ საბოლოო შედეგებს აღარც ელოდება.

შემდეგ ადრიანო გალიანიმ „მილანის“ პრობლემებზე ილაპარაკა და გალიზიანებით თქვა, რომ ტრავმათა სიუხვემ მის კლუბს დიდი დაღი დაასვა.

„აეკ-თან ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ გადავწყვიტე დაშავებულთა რაოდენობა დამეთვალა და მატჩის ბოლოს უკვე ახალი რიცხვი მივიღე — ექვსი მარტო მცველთა და მეკარეთაგანაა ტრავმირებული. ასეთი უიღბლობა წარმოუდგენელია“.

და მაინც, „მილანმა“ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დასახული ამოცანა შეასრულა, ჯგუფში პირველ ადგილზეა და ეს ვიცე-პრეზიდენტს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს:

„ჩვენ მალე რამდენიმე დაშავებული მოთამაშე უნდა დავიბრუნოთ, თუმცა კიდევ უფრო მალე უნდა დავიბრუნოთ იღბალი, თორემ გუნდი უამრავ საგოლე მომენტს ქმნის, მაგრამ წარმატებები ხელიდან უსხლტება. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ჩვენი [illegible] მდგომარეობაა. ვფიქრობ, პლეიოფის ეტაპზე კარგი თამაში ყველაფერს ისევ ჩვენს სასიკეთოდ შემოაბრუნებს. დღეს, წაგების მიუხედავად ფეხბურთელები იცინოდნენ. ხალხი ისე ლაპარაკობს, თითქოს „მილანი“ დიდი ხანია კრიზისშია, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ პირველად 22 ოქტომბერს წავაგეთ, მას მერე, რაც ყველა შეჯიბრებაში ერთად 11 დაუმარცხებელი მატჩი ჩავატარეთ. მოკლედ, სასიკვდილო არაფერი გვჭირს, უბრალოდ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა ადრიდან დავიწყეთ და დასვენება ვერ მოვასწარით.“

საერთო აზრით, „მილანის“ დიდი პრობლემა გოლების სიმწირეა.

„გოლსა და მომენტის ვერგამოყენებას შორის სხვაობა ორიოდ სანტიმეტრია — ამბობს გალიანი — ყველა ის ეპიზოდი, როდესაც ჩვენ ბურთი ძელს გავარტყით, ნახევარგოლია, ასე რომ საქმე საშინლად ნამდვილად არ არის“.

**პაპუნა ძიდია**

# ორი მუხლის თანახმად



## მალდინი ტკივილს დაასრულებს



ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ „მილანსა“ და ბრაზილიელ მეკარე დიდას შორის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში შედის. მოქმედ შეთანხმებას ვადა 2007 წლის ივნისში გასდის და მხარეები საერთო აზრამდე მისვლას ჯერ ვერ ახერხებენ. თუმცა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„კონტრაქტი ალბათ, გახანგრძლივდება. ამ საკითხზე საბოლოოდ მოსალაპარაკებლად დიდას ახლო მომავალში შევხვდებით და იმედია, იგი ჩვენთან კიდევ მრავალი წლით დარჩება. მაგრამ თუ შეთანხმებას ვერ მივაღწევთ... მჯერა, ყველაფერი კარგად დასრულდება. თუმცა დიდა რომც წავიდეს, ეს ტრაგედია არ იქნება. მინდა, რომ იგი დარჩეს, მაგრამ შეუცვლელი არავინაა“ — თქვა გალიანიმ.

დიდას წასვლის შემთხვევაში „მილანს“ მის შემცვლელად ორი კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავს — ტურინის „იუვენტუსის“ კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი და ლივორნოელი მარკო ამელია.

„მილანი“ და საერთოდ ფეხბურთი შესაძლოა დატოვოს „როსონერის“ ვეტერანმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ. მან ცოტა ხნის წინ აღნიშნა, მჯერა, კრიზისიდან მალე გამოვალთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით კი, თავად მალდინი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს.

„საქმე კარგად არ მიდის. ორივე მუხლი მტკივა და ასე ვარჯიში ადვილი არ არის. ამ სეზონში რამდენიმე კარგი მატჩი ჩავატარე, მაგრამ ეს არ კმარა. ახლა ვფიქრობ, რომ კარიერას სეზონის ბოლოს დავასრულებ“ — უთქვამს მალდინის მეგობრებისთვის („კორიერე დელო სპორტის“ ცნობა).

მოგვიანებით კომენტარი თავად მალდინიმაც გააკეთა: „ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ვთამაშობ და ბედნიერი ვარ, თუმცა მომავალ ზაფხულს კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ვაპირებ, იმ დროს უკვე 39 წლის ვიქნები და ფეხბურთელისთვის ეს სახუმარო ასაკი არ არის. კარიერის დასრულება ნამდვილად მსურს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ მერე აზრი შევიცვალო. ისე, ახლა ამაზე ლაპარაკი ადრეა, სეზონის ბოლომდე დიდი დროა და ამჟამად მხოლოდ „მილანზე“ ვფიქრობ. მინდა, გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო“.

მალდინი „მილანთან“ ერთად 23-ე სეზონს ატარებს, რაც სერია A-ს რეკორდია. ლეგენდარულ მცველს, რომელსაც მომავალ წელს 39 წელი უსრულდება, იტალიის ჩემპიონატში 591 მატჩი აქვს ჩატარებული.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „სკუადრა აძურაში“ იგი 2002 წლის მუნდიალის მერე აღარ თამაშობს. ეროვნული ნაკრების მაისურა მას ყველაზე მეტჯერ, 126-ჯერ მოუგია.

ზაფხულში მალდინიმ მუხლზე ოპერაცია ბელგიაში გაიკეთა, მაგრამ ტრავმა ბოლომდე მაინც არ ურჩება და ამის გამო სეზონის დიდი ნაწილი უკვე გაუცდა კიდეც.

**კოკი ქანდელაკი**

# მუშტი ცხვირში

## მწვრთნელი ხარ თუ მეძებარი?

„ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა „სევილიას“ დამრიგებელ ხუანდე რამოსზე და იტალიელ ჟურნალისტებზე თქვა, სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას მოერიდონო. საქმე ის გახლავთ, რომ ხუანდემ ამას წინათ „ლა გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ჰაერში „ბარსადან“ რაიკარდის გაქცევის სუნი ტრიალებს. დარწმუნებული ვარ, რომ ფრანკი სეზონის ბოლოს „კამპ ნოუს“ რომელიმე იტალიური გრანდის არენაზე გაცვლის“

აპენინურ მედიასაც სხვა რაღა უნდოდა და გაზეთებმაც „მილანში“ რაიკარდის დაბრუნების ამბავი ახალი ძალით ააგორეს. ამან ჰოლანდიელი საკმაოდ გააღიზიანა. „ალბათ ხუანდე რამოსს თავისებური, განსაკუთრებული ცხვირი აქვს, რადგანაც არარსებულ სუნს გრძნობს. „ბარსელონადან“ წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ სამომავლოდ თუ მართლა იტალიაში აღმოვჩნდი, შეგიძლიათ, „სევილიას“ მწვრთნელი გენიალური ყნოსვისთვის შეაქოთ და გზა მეცნიერულ სარბიელზე დაულოცოთ“ — ირონიულად აღნიშნა იმავე „გაძეტასთან“ მასლაათში კატალონიური გრანდის თავკაცმა. მერე კი იტალიელებს საკმაოდ მკვახედ უთხრა, არარსებული ფაქტების საქვეყნოდ გავრცელებასა და ჩემს საქმეში ასე მოურიდებლად ჩარევას თავი დაანებეთო.

ხუანდე რამოსმა კი „პუნტო რადიოსთან“ ინტერვიუში მოიბოდიშა: „მაშინ მხოლოდ ჩემი ვარაუდი გამოვთქვი, რისი უფლებაც ყველას გვაქვს, მაგრამ თუ ვინმეს ამით შეურაცხყოფა მივაყენე, პატიებას ვითხოვ“. შეგახსენებთ, რომ ხუანდე თავის დროზე „ბარსას“ მეორე გუნდს წვრთნიდა, ამჟამად კი მისი „სევილია“ ესპანეთის პრიმერადივიზიონში მეორე ადგილზეა „ბარსელონას“ შემდეგ.

**ლადო ხომერიკი**



ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი V ტური

## E ჯგუფი

### რეალი 2:2 ლიონი

0:1 კარეუ (11), 0:2 მალუდა (31), 1:2 მ. დიარა (39), 2:2 ვან ნისტელროოი (83)
ვან ნისტელროოიმ ვერ გაიტანა პენალტი (89, მეკარე)
რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, ელგერა, კანავარო, რ. კარლოსი, ემერსონი (კასანო 76), მ. დიარა, რაული, გუტი (რეიესი 21), რობინიო, ვან ნისტელროოი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლიონი: კუპე, რეველიერი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, კლერკი, ტულალანი (ა. დიარა 90), ჟუნინიო, ტიაგუ, მალუდა, კარეუ
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ტულალანი, რეველიერი, ჟუნინიო, კარლოსი, კანავარო, რაული, მალუდა, რამოსი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
78 677 მაყურებელი

### სტიაუა 1:1 დინამო

0:1 ჩერნატი (29), 1:1 დიკა (69)
სტიაუა: ჩერნია, სტანჩუ, გიონია, გოიანი, მარინი, ნიკოლიტა, ო. პეტრე, პარასკივი (რადოი 66), ოპრიტა (კრისტოჩია 55), დიკა (ლოვინი 90), ტერეაუ
მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ
დინამო: შოვკოვსკი, მარკოვიჩი, როდრიგო, როდოლფო (გავრანჩიჩი 46), ელ კადური, ო. გუსევი, იუსუფი, ჩერნატი (რინკონი 78), ბელკევიჩი, კლებერი (მილევსკი 67), შაცკიხი
მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო
გაფრთხილება: როდრიგო, კლებერი, ოპრიტა, იუსუფი, გავრანჩიჩი, რინკონი, გიონია, ჩერნია, გუსევი
მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)
25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 10 |
| სტიაუა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| დინამო | 5 | 0 | 1 | 4 | 3:14 | 1 |

# რუუდ ვან მეკარე



„რეალმა" „ლიონი" ვერ დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეფო თეთრებმა ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი დაკარგეს. კაპელოს ბიჭებმა მათთვის საშინელი პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელს წაგებულებმა მიაშურეს. ლიონელთაგან გოლები იმ დღეს საოცრად მობურთავე კარეუმ და მალუდამ შეაგდეს, ადგილობრივთაგან კი ერთი გოლი ჟერარ ულიეს ექსშეგირდმა მაჰამადუ დიარამ გაიტანა. შესვენების შემდეგ „რეალს" გამოფხიზლდა და რუუდ ვან ნისტელროოიმ ანგარიში გაათანაბრა. ჰოლანდიელს შეეძლო, თავისი გუნდისთვის გამარჯვებაც მოეტანა, თუმც 88-ე წუთზე პენალტი გააცუდა.

„ლიონი" ბოლო წლებში ევროპული მასშტაბით მადრიდის ჯალათი გახლავთ და სამშაბათს რაულს და მის ამხანაგებს მეორე ტაიმში თავგანწირვით რომ არ ეთამაშათ, ამ შეხვედრას წააგებდნენ. კაპელოს გუნდს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან თამაში ძალიან გაუჭირდა. აშკარაა, რომ თანამედროვე „რეალი" ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

სამეფო თეთრებს ინჩადის გახარება უნდოდათ და პირველი წუთებიდანვე მეტოქეს გააფთრებით შეუტიეს, თუმცა ჯადოსნურმა კარეუმ მალე კაპელოს გეგმები ჩაშალა. სკანდინავიელი ფორვარდი „სანტიაგო ბერნაბეუს" მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად მოევლინა. „ვალენსიას" ექსმოიერიშემ ფაბიო კანავარო მოატყუა და სამარესავით დადუმებულ სტადიონზე პირველი გოლი გაიტანა. კანავაროს, მოგეხსენებათ, „ოქროს ბურთს" უწინასწარმეტყველებენ, თუმც თამაშის შემდეგ ესპანურ მედიაში დაეჭვებით აღნიშნეს, კარეუსთან წაგებული ომის მერე ამ კაცისთვის ნაადრევად ჯილდოს მიკუთვნება ეგებ არც ღირდესო.

„ლიონმა" კი მატჩის სადავეები ხელში ჩაიგდო და „ბერნაბეუს" ფანობაც გააწამა. ულიეს შეგირდებმა დაამტკიცეს, რომ მათ გუნდში ნიჭი და დისციპლინა ერთი და იგივე ცნებაა. კარეუმ „რეალის" დაცვას და განსაკუთრებით ბედკრულ კანავაროს ბევრი თავსატეხი გაუჩინა.

მეოცე წუთზე გუტიმ ტრავმა მიიღო და მის მაგივრად ხოსე ანტონიო რეიესი შევიდა. გუტიერესის არყოფნა სამეფო გუნდს ძალიან დაეტყო, მას ხომ მრავალფეროვნება შეაქვს.

31-ე წუთზე ჟუნინიომ საჯარიმო ჩააწოდა და მალუდამ მეორე გოლი გაიტანა. მცველები და კასილიასი იმ ეპიზოდში გათიშულებივით იყვნენ. „ბერნაბეუზე" ფრანგული ჯანღი ჩამოწვა, რომლის მცირედით გაფანტვა ძველმა ლიონელმა დიარამ შეძლო — 38-ე წუთზე მასპინძელთა მცველმა ანგარიში სხვაობა შეამცირა.

მეორე ტაიმში მადრიდელები გრეგორი კუპეს კარს მიაწყდნენ, თუმცა გოლის გატანა კარგა ხანს ვერ მოახერხეს. გულხელდაკრეფილნი არც ფრანგები დარჩენილან, კარეუ და მალუდა კონტრშეტევებზე აქტიურობდნენ, თუმცა „ლიონმა" კასილიასის კარის დალაშქვრა ვეღარ მოახერხა, ხოლო სამეფო თეთრებმა თამაშის გადარჩენა შეძლეს.

მატჩის მიწურულს რუუდ ვან ნისტელროოიმ რაულის თავურ დარტყმას თავი დაუმატა და ანგარიში გაათანაბრა. გადის რამდენიმე წუთი და მატჩის არბიტრი ტერიე ჰაუგე ფრანგების კარში პენალტს ნიშნავს. მადრიდელ გულშემატკივრებს მოგების იმედი მიეცათ, თუმცა ვან ნისტელროოის კუპემ აუღო.

**კიევის** „დინამო" ევროტურნირებს გამოეთიშა, ხოლო „სტიაუამ" უეფას თასზე თამაში გაინაღდა. ბუქარესტში მეზობლებმა 1:1 ითამაშეს, მატჩი დაძაბული იყო და ჩეხ მსაჯ იაროსლავ იარასაც რვაჯერ მოუწია ყვითელი ბარათის ამოღება.

უკრაინელებმა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველი ქულა აიღეს. გოლი კი ფლორიან ჩერნატმა გაიტანა — რუმინელმა ლეგიონერმა „სტიაუას" გოლი საჯარიმო დარტყმით შეუგდო.

მიუხედავად სტუმართა უპირატესობისა, ადგილობრივებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. მეორე ტაიმში ნიკოლაე დიკა „დინამოს" საჯარიმოზე შეიჭრა და ბურთი ალექსანდრ შოვკოვსკისგან შორეულ კუთხეში გაგზავნა.

**ლადო ხომერიკი**

## F ჯგუფი

### სელტიკი 1:0 მანჩესტერი

1:0 ნაკამურა (81)
საამ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)
სელტიკი: ბორუცი, ტელფერი, ბალდე, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა (მილერი 85), გრავესენი, ლენონი, სნო (მელოუნი 46), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ჟურავსკი (იაროშიკი 46)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე (ევრა 87), რონალდუ, კარიკი (ოში 87), სქოულზი, გიგზი, რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მაკმანუსი, სქოულზი, ლენონი, გრავესენი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
60 632 მაყურებელი

### ბენფიკა 3:1 კოპენჰაგენი

1:0 ლეო (14), 2:0, 3:0 მიკოლი (16, 37), 3:1 ოლბოკი (89)
ბენფიკა: კიმი, ნელსონი, ანდერსონი, რ. როჩა, ლეო, კაცურანისი (მანტორაში 86), პეტიტი, სიმაო, ნუნუ ასისი (კარაგუნისი 80), ნუნუ გომეში, მიკოლი (კარიაკა 70)
მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, ვენდტი, სილბერბაუერი (კვისტი 59), ლინდეროტი, ნორეგაარდი (ბერგლუნდი 59), ჰათჩინსონი, ოლბოკი, გრონკიაერი
მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი
გაფრთხილება: ლინდეროტი, მიკოლი, სილბერბაუერი, ნელსონი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
47 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 9 |
| ბენფიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| კოპენჰაგენი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | 4 |

# შჩქმიტეთ სტრაჩანს




აქეთ ანტიგმირი, იქით გმირი: ლუი საა და შუნსუკე ნაკამურა

„სელტიკი" პლეი ოფშია. „პარკჰედზე" გამართულ ამ დიდ დაპირისპირებაში ორი მთავარი ამბავი მოხდა: შუნსუკე ნაკამურამ საჯარიმოდან საუცხოოდ გაიტანა და არტურ ბორუცმა პენალტი მოიგერია, თუმცა... როკ მუსიკის მოყვარულთათვის იყო მესამე მთავარი ამბავიც — თამაშს „სელტიკის" ოდინდელი ფანი დიდი როკვარსკვლავი როდ სტიუარტი ესწრებოდა და ის ტელევიზორშიც გამოჩნდა.

ჯარიმა, რომელიც იაპონელმა ვარსკვლავმა მანჩესტერელი სტუმრების ბადეში ჩაახვია, თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კარიდან დაახლოებით 25 მეტრში დაინიშნა. შეხვედრის ყველაზე უიღბლო ადამიანად კი უყოყმანოდ შეიძლება ფრანგი ლუი საა დავასახელოთ. საას, ჯერ იყო და თავი თამაშგარე მდგომარეობაში ეგონა და გასატანი ვერ გაიტანა, შემდეგ კი, 90-ე წუთზე პენალტი გააცუდა.

ასე და ამგვარად, „სელტიკი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ქულებით გათანაბრდნენ, მაგრამ მეტოქეთა პირველ შეხვედრაში ინგლისურმა გუნდმა 3:2 მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტოქის მოედანზე მეტი გოლი სქოთებს აქვთ გატანილი და ამიტომ, ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა მათია.

თამაში იმით დაიწყო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოწინააღმდეგის მოედნის შუიდანვე მიხრჩობის ტაქტიკას მისდია და „სელტიკს" თამაშის საშუალება არ მისცა. გლაზგოელები, სავარაუდოდ, მანჩესტერელთაგან ლაღი ფეხბურთის პრინციპების ასეთ „ღალატს" არ ელოდნენ და შესვენებამდე მხრებში ვერ გაიშალნენ. მოკლედ, პირველ ტაიმში დიდად სახიფათო არაფერი მომხდარა.

შესვენების მერე „სელტიკის" თავკაცმა გორდონ სტრაჩანმა მოედანზე ირჟი იაროშიკი და შონ მელოუნი შეუშვა, თუმცა ვერ დავიჩემებთ, რომ ამ ცვლილებებით რაიმე პრინციპულად შეიცვალა. თამაშის ბოლო ათწუთიან მონაკვეთში კი უკვე ვიცით, რაც მოხდა...

„პატიოსნად გეტყვით, რომ ჩემთვის ამ თამაშის წაგება ძნელი გადასატანია. მოედნის ბოლო მესამედში ცუდად ვითამაშეთ, ხოლო როდესაც შენს შესაძლებლობებს ვერ იყენებ, ყველამ კარგად ვიცით, ფეხბურთში რაც ხდება. ერთი სიტყვით, შოკში ვარ. რაც შეეხება საას, ლუი რასაკვირველია განიცდის, მაგრამ ფეხბურთელები გაამხნევებენ, რადგან ჩვენ ერთსულოვანი გუნდი ვართ. ნუ იფიქრებთ, რომ ამ ბიჭთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა გვაქვს. ეს ცხოვრებაა. ეჭვი არ მეპარება, რომ ის ოდესმე კიდევ ააცილებს პენალტს" — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა.

„სელტიკის" თავკაცი გორდონ სტრაჩანი: „არ მჯერა... დილით ანგარიში კიდევ ერთხელ უნდა გადავამოწმო, რომ დავიჯერო. წარმოუდგენელია, ჩვენ პლეი ოფში გავედით. ახლა ემოციურად წარმოუდგენლად გადაღლილები ვართ".

**ლისაბონელებმა** პლეი ოფის ეტაპზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს. დანიელებთან შეხვედრის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყვეტილი გახლდათ — ლეომ და ფაბრიციო მიკოლიმ სამი გოლი შეაგდეს. სტუმრებმა 89-ე წუთზე ის გაიტანეს, საბჭოთა კომენტატორები პრესტიჟის გოლს რომ ეძახდნენ.

**პაპუნა კედია**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი V ტური

## G ჯგუფი

### არსენალი 3:1 ჰამბურგი

0:1 ვან დერ ვაარტი (4), 1:1 ვან პერსი (52), 2:1 ებუ (83), 3:1 ჟულიო ბაპტისტა (88)
არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები (ჟულიო ბაპტისტა 81), ფაბრეგასი, ფლამინი, ლიუნგბერგი (უოლკოტი 75), ანრი, ვან პერსი (ადებაიორი 70)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჰამბურგი: ვეხტერი, ბენჯამინი, რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა (ლიუბოია 67), მაჰდავიკია (ფილჰაბერი 45), ვიკი (ლაუტი 87), ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, ფილინგერი, სანოგო
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: სენდეროსი, ბენჯამინი, ვან დერ ვაარტი, გლები, სანოგო, ანრი, კლიში, ფილინგერი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
60 000 მაყურებელი

### ცსკა 0:2 პორტუ

0:1 კვარესმა (2), 0:2 გონსალესი (61)
ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, შემბერასი, ა. ბერეზუცკი, კრასიჩი (ოლიჩი 66), რახიმიჩი, ალდონინი, ჟირკოვი, დუდუ (კოჩუბეი 26), დანი კარვალიუ, ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბ. ალვეში, ფუსილე, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მეირელეში (ჟორჟინიუ 70), კვარესმა (ალანი 88), პოშტიგა (მორაეში 76), ლ. ლოპესი
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
გაფრთხილება: ასუნსაო, პეპე, ალვეში, ვაგნერ ლავი, კოჩუბეი, რახიმიჩი, ჟირკოვი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ცსკა | 5 | 2 | 2 | 1 | 2:2 | 8 |
| ჰამბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:13 | 0 |

## პატარა, მუშა თეო



AFP ლოლოფოსიდან

**მებრძოლი** სულის ტრიუმფი უწოდა არსენ ვენგერმა თავისი გუნდის გამარჯვებას, რადგან თამაშის ბოლოსღა მოახერხა „არსენალმა" „ჰამბურგის" ძლევა. მეორე ტაიმის შუაში გულშემატკივრებმა თეო უოლკოტი მოითხოვეს. ფრანგმა მწვრთნელმაც შეუშვა 17 წლის ბიჭი ლიუნგბერგის ნაცვლად და ყმაწვილმა ინგლისელმა ხუთ წუთში ორი გოლი გააკეთა — მისი საუცხოო თამაშის წყალობით ემანუელ ებუმ დააწინაურა „მეთოფეები", მერე კი ჟულიო ბაპტისტამ თავურით სხვაობა გაზარდა. ეს იყო ბრაზილიელის პირველი არსენალური გოლი.

თითქოს იოლი ლუკმა უნდა ყოფილიყო „ჰამბურგი" მასპინძლებისთვის, რადგან მანამდე ოთხივე თამაში წაეგო, მაგრამ მეოთხე წუთზე რაფაელ ვან დერ ვაარტმა გახსნა ანგარიში და „მეთოფეთა" ოცნება იოლ გასეირნებაზე, ტანჯვად აქცია. „ჰამბურგის" ჰოლანდიელმა კოხტა გოლი შეაგდო — ორი მცველი მოიშორა და ცხრიანში შეაბრძანა ბურთი, იენს ლემანი უშანსოდ იყო.

პირველ ტაიმში მასპინძლებს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მათ შორის საუკეთესო ალექსანდრ გლებს, რომელმაც თორმეტიოდ მეტრიდან ბურთი კარის ჩარჩოს გაარტყა. სტუმართაგან კი ერთხელ ახლოს იყო მიზანთან მეჰდი მაჰდავიკია, ოღონდ მისი დარტყმული ფილიპ სენდეროსს მოხვდა. რობინ ვან პერსიმ ტაიმის მიწურულს, ტიერი ანრიმ კი მეორე ნახევრის დასაწყისში, საჯარიმოებიდან სცადეს გათანაბრება, მაგრამ ორივემ ააცილა. სამაგიეროდ, ვან პერსიმ მაინც გაიტანა სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ. გლებმა ფაბრეგასს მიაწოდა, ესპანელმა კი მარჯვენა ფლანგზე ვან პერსის შეაყოლა ბურთი, რომელმაც მეკარესა და ახლო ძელს შუა შეაძვრინა — 1:1.

ამის მერე ტიერი ანრიმ სცადა გატანა და მეკარემ აულო, ხოლო 30 მეტრიდან ფაბრეგასის დარტყმული ხარიხას მოხვდა. 75-ე წუთზე თეო უოლკოტი შევიდა შეცვლაზე და დაღლილი ჰამბურგელი მცველები ველარ უმკლავდებოდნენ სწრაფ ყმაწვილკაცს. უოლკოტმა ჯერ ებუს მიაწოდა საგოლე პასი, მერე კი ბურთი თავზე დაასვა ჟულიო ბაპტისტას და ბრაზილიელმა „არსენალში" გოლების ანგარიში გახსნა. „არსენალი" ბოლო ტურში „პორტუს" ეწვევა და ფრეც ჰყოფნის მერვედფინალში გასასვლელად, თუმც პორტუგალიაში ბრძოლა ტიერი ანრის გარეშე მოუწევთ, რომელიც ზედმეტი ყვითელი ბარათების გამო დისკვალიფიცირებულია.

„მეორე ტაიმში უფრო ყურადღებით ვითამაშეთ და სიზუსტეც არ გვაკლდა — განაცხადა ვენგერმა — თეო უოლკოტმა კი სისწრაფე შემატა შეტევებს. სამწუხაროა, რომ ანრის გარეშე მოგვიწევს პორტუში სტუმრობა, მაგრამ გუნდი ისეა მონდომებული, მჯერა, პორტუგალიაში არ წავაგებთ".

**ისევე,** როგორც ორი წლის წინ, „პორტუმ" მოსკოვში ცსკა-ს დამარცხება მოახერხა და მერვედფინალში გასვლის შანსი გაიუმჯობესა. რუსეთის ჩემპიონის მდგომარეობა კი გაუარესდა — ბოლო ტურში „ჰამბურგთან" სტუმრად აუცილებლად მოგება სჭირდება და თან „პორტუ" — „არსენალის" მატჩზე იქნება დამოკიდებული. ცსკა-ს აქამდე ოთხ მატჩში გოლი არ გაეშვა და წაუგებელი იყო, ახლა კი ორი გაუშვა და მარცხის გემოც გაიგო.

ვალერი გაზაევის გუნდის დაცვაში კარგ თამაშს ამ სეზონში დიდად განაპირობებდა სერგეი იგნაშევიჩი, რომელიც მუხლის ტრავმის გამო სათადარიგოებში აღმოჩნდა. მთავარი მცველის არყოფნაში მასპინძელთა დაცვა მეორე წუთზევე გაიხლიჩა, როცა პორტუგალიელებმა სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს. პოშტიგამ მარჯვნივ ლისანდრო ლოპესს მიაწოდა ბურთი, მან კი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, სადაც კვარესმა დაუხვდა და ანგარიში გახსნა. ცსკა დამძიმებული ჩანდა, რაც ათსაათიანმა მგზავრობამ გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ არმიელები მოსკოვში კვირას დაბრუნდნენ ვლადივოსტოკიდან, სადაც „ლუჩ"-ს მოუგეს და ჩემპიონები გახდნენ, ხოლო სამშაბათამდე ორი დღე ჰქონდათ და დასვენება-აღდგენა ვერ მოასწრეს.

პირველი ტაიმის შუაში მასპინძელთა ნახევარმცველი დუდუ დაშავდა და გუნდი სულ აირია. მეორე ნახევარში კვარესმა — ლისანდრო — გონსალესის კომბინაცია გოლით დასრულდა და გამოჩნდა, რომ ცსკა თამაშის შემობრუნებელი არ იყო. მოსკოველებმა მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარისკენ სახიფათოდ დარტყმა. გაზაევმა ოლიჩი შეუშვა შეტევის გასაძლიერებლად, მაგრამ ამაოდ, ბოლოს კი ფუსილეს შეეძლო მესამის გატანა, თუმც აკინფეევმა აჯობა.

**ირაკლი ნინიძე**

## H ჯგუფი

### აეკ 1:0 მილანი

1:0 ჟულიო სეზარი (32)
აეკ: სორენტინო, ჩირილო, დელასი, პაპასტათოპულოსი, გიორგიოპულოსი (მორასი 78), ემერსონი, ზიკოსი, ტოშერი (კირიაკიდისი 66), მანდუკა, ლიბეროპულოსი, ჟულიო სეზარი (ჰატემი 86)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
მილანი: დიდა (კალაჩი 79), ბროკი, კოსტაკურტა (იანკულოვსკი 46), მალდინი, ბონერა, გურკუფი, პირლო, ზეედორფი, კაკა, ინძაგი, ოლივეირა (ბორიელო 70)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გიორგიოპულოსი, ოლივეირა, ტოშერი, ზეედორფი
მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)
70 000 მაყურებელი

### ლილი 2:2 ანდერლეხტი

1:0 ოდემვინჟი (28), 1:1 მპენზა (38), 2:1 ფოვერჟი (47), 2:2 მპენზა (49)
ლილი: ტ. სილვა, შალმე, პლესტანი, შმიტცი, ტაფორო, ა. კეიტა, მაკუნი, ბოდმერი, რობაილი (დებუში 55), ფოვერჟი (ბასტოსი 71), ოდემვინჟი (მირალასი 76)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
ანდერლეხტი: შოლენი, ვანდენ ბორე, დე მანი, ვან დამი დეშახტი, პარეხა, ბილია (იუპაში 90), ჰასანი (ვანდერეგე 83), გოორი, ტშიტე, მ. მპენზა
მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი
გაფრთხილება: ვან დამი, ტაფორო, ჰასანი, პარეხა, ვან დამი
გაძევება: ვან დამი (88)
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
40 000 მაყურებელი

| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 262 | ბენფიკა-მარიტიმუ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 259 | ნავალი-სპორტინგი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 20:00 | 261 | აკადემიკა-ბეირა მარი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 20:00 | 263 | ფერეირა-ავეში | 1.60 | 3.30 | 5.70 | 1.07 | 1.24 | 2.08 |
| 20:00 | 264 | ნასიონალი-ლეირია | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 23:15 | 266 | ბელენენსეში-პორტუ | 5.20 | 4.00 | 1.50 | 2.26 | 1.16 | 1.09 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 260 | სეტუბალი-ბრაგა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 275 | ერგოტელისი-არისი | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 21:00 | 276 | ეგალეო-აეკ | 4.60 | 3.30 | 1.70 | 1.92 | 1.24 | 1.12 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 277 | იონიკოსი-ოფი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 17:00 | 278 | ირაკლისი-კერკირა | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 18:45 | 279 | ქსანთი-პაოკ | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 19:00 | 280 | პანიონიოსი-ატრომიტოსი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 21:00 | 281 | ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 21:00 | 282 | პანათინაიკოსი-კალამარია | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 304 | ზლინი-ბრნო | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 303 | სპარტა-პლზენი | 1.25 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.17 |
| 20:00 | 305 | ბანიკი-ლიბერეცი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 306 | იაბლონეცი-კლადნო | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 307 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 20:00 | 309 | ბოლესლავი-სლოვაცკო | 1.37 | 4.20 | 6.50 | 1.03 | 1.13 | 2.55 |
| 20:00 | 310 | პრჟიბრამი-მოსტი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:15 | 308 | ტეპლიცე-სლავია | 2.55 | 2.80 | 2.75 | 1.33 | 1.32 | 1.38 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 418 | კოპენჰაგენი-რანდერსი | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 10:00 | 323 | ჩერეძო-ნაგოია | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 10:00 | 324 | ტოკიო-იოკოჰამა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 10:00 | 325 | ფუკუოკა-გამბა | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| 10:00 | 326 | იჩიჰარა-ჰიროსიმა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 10:00 | 327 | კაშიმა-ნიიგატა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 10:00 | 328 | კიოტო-ივატა | 3.40 | 3.30 | 1.90 | 1.67 | 1.21 | 1.20 |
| 10:00 | 329 | ოიტა-ომია | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 10:00 | 330 | შიმიცუ-კავასაკი | 2.80 | 3.30 | 2.10 | 1.51 | 1.20 | 1.28 |
| 10:00 | 331 | ურავა-კოფუ | 1.30 | 4.40 | 8.20 | 1.00 | 1.12 | 2.86 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 431 | ატლასი-ამერიკა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 23:45 | 432 | პაჩუკა-პუმასი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 377 | პსჟ-აპოელი თა | 1.37 | 4.20 | 7.00 | 1.03 | 1.14 | 2.62 |
| 22:15 | 378 | რაპიდი(ბ)-ბოლესლავი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:00 | 379 | ფენერბაჩე-პალერმო | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:45 | 380 | ნიუკასლი-სელტა | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 22:30 | 381 | ოსერი-რეინჯერსი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 22:45 | 382 | მაკაბი ჰ-პარტიზანი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 23:30 | 383 | ლევერკუზენი-ტოტენჰემი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 23:30 | 384 | ბრიუგე-დინამო(ბქ) | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 23:45 | 385 | სევილია-ბრაგა | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 21:15 | 386 | ლიბერეცი-გრასჰოპერი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 23:45 | 387 | პარმა-ჰერენვენი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 388 | ოდენსე-ლანსი | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 23:45 | 389 | ფეიენოორდი-ბლექბერნი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 23:15 | 390 | ბაზელი-ნანსი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 391 | ესპანიოლი-ვარეგემი | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| 21:30 | 392 | სპარტა-აიაქსი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 410 | ვოლერენგა-ვიბორგი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 21:55 | 416 | ჰამარბი-ბრიონდბიუ | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 557 | ტიმრე-ლინჩიოპინგი | 1.80 | 4.10 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.59 |
| 22:00 | 558 | აიკ-ფრიოლუნდა | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 22:00 | 559 | იურგორდენი-მალმიო | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 22:00 | 560 | ფერიესტადი-მოდო | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 22:00 | 561 | ჰვ 71-ლულეო | 1.60 | 4.20 | 3.40 | 1.15 | 1.08 | 1.87 |
| 22:00 | 562 | მორა-ბრიუნესი | 2.35 | 4.10 | 2.05 | 1.49 | 1.09 | 1.36 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 580 | ჰაამეენლინა-ლუკო | 1.50 | 4.20 | 4.00 | 1.10 | 1.09 | 2.04 |
| 20:30 | 581 | ილვესი-ესეტი | 1.65 | 4.10 | 3.10 | 1.17 | 1.07 | 1.76 |
| 20:30 | 582 | პელიკანსი-ტაპარა | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:30 | 583 | სეიპა-იოკერიტი | 2.40 | 4.00 | 1.85 | 1.50 | 1.04 | 1.26 |
| 20:30 | 584 | კალპა-ესპოო | 2.70 | 4.10 | 1.85 | 1.62 | 1.09 | 1.27 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 585 | ჰელსინკი-ტურკუ | 1.85 | 4.10 | 2.50 | 1.27 | 1.06 | 1.55 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 630 | კიოლნი-კრეფელდი | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 631 | იზერლონი-ჰამბურგი | 2.10 | 4.20 | 2.25 | 1.39 | 1.08 | 1.46 |
| 22:30 | 632 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1.65 | 4.40 | 3.00 | 1.20 | 1.06 | 1.78 |
| 22:30 | 634 | ინგოლშტადი-სტრაუბინგი | 1.25 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.47 |
| 22:30 | 635 | დიუსელდორფი-აუგსბურგი | 1.30 | 4.60 | 5.50 | 1.01 | 1.05 | 2.50 |
| 22:30 | 636 | აისბარენი-ფრანკფურტი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 644 | კლოტენი-ბერნი | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 22:45 | 645 | ლანგნაუ-ციურიხი | 2.20 | 4.00 | 2.05 | 1.41 | 1.06 | 1.35 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 788 | ციბონა-მაკაბი | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 22:45 | 789 | ჟალგირისი-ცსკა | 2.90 | 12.00 | 1.30 | 2.33 | 1.00 | 1.17 |
| 22:45 | 790 | პანათინაიკოსი-უნიკახა | 1.20 | 12.00 | 3.90 | 1.09 | 1.00 | 2.94 |
| 23:15 | 791 | ენერგია-პროკომი | 1.55 | 12.00 | 2.20 | 1.37 | 1.00 | 1.85 |
| 23:45 | 792 | ნაპოლი-ორტეზი | 1.40 | 12.00 | 2.40 | 1.25 | 1.00 | 2.00 |
| 23:45 | 793 | ბარსელონა-ულქერი | 1.11 | 12.00 | 6.00 | 1.01 | 1.00 | 4.00 |
| 23:45 | 794 | ბენეტონი-არისი | 1.25 | 12.00 | 3.50 | 1.13 | 1.00 | 2.70 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ბოისამ თავის გუნდს 7 ქულა შეაშველა

# სიენამ აკადემიკი აკადემიურად დაამარცხა

## ბულგარელებს შესვენების შემდეგ ჩაექინეთ...

ულებ-ის თასის მორიგ ტურში ვლადიმერ ბოისას „სიენამ" იმარჯვა და თავის ჯგუფში გალიდერდა. იტალიურმა კლუბმა შინ ბულგარეთის ჩემპიონი „აკადემიკი" დაამარცხა, თუმც ეს ცოტა არ იყოს, გაუჭირდა.

ბულგარული კლუბი უძახე და ამ ტურამდე C ჯგუფს სწორედ „აკადემიკი" ლიდერობდა, რომლის შემადგენლობაშიც გამწევ ძალას ლეგიონერები წარმოადგენენ. სიენაშიც არ ნებდებოდნენ აკადემიკოსები, მაგრამ მესამე მეოთხედში მასპინძლებმა ისე მოინდომეს, სტუმრებმა თეთრი დროშაააფრიალეს.

ვლადიმერ ბოისა მოედანზე იყო ბულგარელთათვის ავადსახსენებელ წუთებში, როცა სიენელებმა დროის ხანმოკლე მონაკვეთი 13:0 მოიგეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ გვარიანი ფორა შეიქმნეს. ეპიზოდის გმირი გახლდათ რომან სატო, ვინაც ამ გაქცევისას 11 ქულა მოიხვეჭა.

ბოისამ 16 წუთი ითამაშა და 7 ქულა 2 საშუალო და სამი საჯარიმო სროლით მოაგროვა. ვოვას ფარქვეშაც არა უშავდა, მეტოქის საჯარიმოში 2, ხოლო საკუთარში 1 ბურთი მოხსნა.

„მართლაც გახარებული ვარ ჩემი გუნდის ასეთი ბრძოლისუნარიანობით — თქვა ნამატჩევს „სიენას" თავკაცმა სიმონე პიანიჯანიმ — საკმაო შეცდომები დავუშვით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოვახერხეთ თამაშის სასურველ რიტმში გადაყვანა და საიმედო დაცვის ხარჯზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ".

სიენელები ცალი ფეხით უკვე გასულები არიან ჯგუფიდან, თუმც არც მდევრებს სძინავთ — მათ უკან ცხრილში ერთბაშად ოთხი თანაბარქულიანი გუნდია და სიენელებს სიფრთხილე მართებთ.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კობი ბრაიანტმა ერთი დაკარგა და თავი იპოვა

21 ნოემბერი

**ფილადელფია 87:97 დეტროიტი**

ფილადელფია: გრინი (24)
დეტროიტი: პრინსი (25), ვოლესი (21 ქულა, 11 მოხსნა), ჰამილტონი (16)

**ლეიკერსი 105:101 კლიპერსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (40), ოდომი (18), პარკერი (15), უოლტონი (12)
კლიპერსი: ბრენდი (20 ქულა, 15 მოხსნა), მაგეტი (20), კასელი (18)

**დალასი 107:80 ვაშინგტონი**

დალასი: ნოვიცკი (30 ქულა, 14 მოხსნა), ტერი (18), ჰარისი (18)
ვაშინგტონი: არენასი (29), ბატლერი (12 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 101:86 მაიამი**

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (23) მეისონი (17), ჯექსონი (14)
მაიამი: ვეიდი (29), უილიამსი (13)

**კლივლენდი 97:94 მემფისი**

კლივლენდი: გუდენი (22 ქულა, 15 მოხსნა), ჯონსი (21), ჯეიმსი (15)
მემფისი: ეტკინსონი (17), მილერი (15), კარდინალი (12)

**დენვერი 113:109 ჩიკაგო**

დენვერი: სმიტი (36), ენტონი (29), კემბი (13 ქულა, 15 მოხსნა, 5 დაფარება)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (28), დენგი (22), გორდონი (19) ნოჩიონი (15 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (11 ქულა, 16 მოხსნა)

**ინდიანა 93:88 მილუოკი**

ინდიანა: ონილი (26 ქულა, 13 მოხსნა), ტინსლი (17)
მილუოკი: უილიამსი (22), რედი (21), ბოგუტი (14)

„ჩვენთვის, კალათბურთელებისთვის, ეს რიგითი თამაშია, მაგრამ, როდესაც მთელი ქალაქი სწორედ ამ შეხვედრას ელის და მისი მსვლელობისას ყველაფერს ათმაგად განიცდის, ვიდრე სხვა თამაშებისას, ჩვენც გვიჩნდება სურვილი, ასეთ მატჩში ყველაფერი ჩავდოთ" — თქვა ლოსანჯელესური დერბის საუკეთესო მოთამაშე კობი ბრაიანტმა.

„ლეიკერსი" და „კლიპერსი" წლეულს პირველად შეერკინენ ერთმანეთს. უდაძაბულეს ბრძოლაში „ლეიკერსმა" იმარჯვა, მისმა ლიდერმა კობი ბრაიანტმაც სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და 40 ქულა მიაშველა თავის გუნდს, რომელსაც შემადგენლობა მთლად „კლიპერსივით" მძლავრი ვერ ჰყავს, მაგრამ, სამაგიეროდ, აგერ — კობი ჰყავს.

„40 ქულა ძალიან კარგი შედეგია, მით უფრო, რომ მან 10 ქულა ბოლო 5 წუთში გააკეთა, მაგრამ მე ყველაზე მეტად ის მესიამოვნა, რომ კობიმ 38 წუთში მხოლოდ ერთხელ დაკარგა ბურთი. ის უკვე კარგ ფორმაშია, ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა, რაც სროლისა და მოძრაობის დროსაც ეტყობა. გაცილებით თავისუფლად თამაშობს, ვიდრე ორი კვირის წინ" — შეგირდთა შორის უყოჩაღესი უხვად შეაქო „ლეიკერსის" თავკაცმა ფილ ჯექსონმა.

მაღაზე მოსულ „დალას მავერიკსს" კი კიდევ ერთი მეტოქე შემოემარცხა, თან ისე, რომ შანსი არ მიუცია „ვაშინგტონისთვის". თავად ვაშინგტონელებს სჯეროდათ, რომ მოგების კარგი შანსი ჰქონდათ, რაკი „დალასი" ხუთ დღეში მეოთხე(!) შეხვედრას ატარებდა — დაღლილები იქნებიან და 48 წუთი ვერ გაგვიძლებენ, აგრესიულად ვეთამაშებით და ადრე თუ გვიან, გატყდებიანო. კარგი გეგმა იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ თავად „ვაშინგტონს" ეს აგრესიულობა პირველ 12 წუთის შემდეგ „გაუთავდა". დედაქალაქელთა ლიდერმა ჯილბერტ არენასმა, წინა შეხვედრაში 45 ქულა გამოაცხო და ახლაც ისეთი რიხით დაიწყო, ყველამ იფიქრა, ეგაა და კვლავ მისწვდება 40-ქულიან თამასასო. არენასმა პირველ მეოთხედში 15 ქულა გააკეთა და ეს პერიოდი 30:21 მოაგებინა თავის გუნდს, მაგრამ ვაშინგტონური კოცონი მალევე ჩაიფერფლა. დირკ ნოვიცკი და მისი რაზმი მთელი გაქანებით ამუშავდნენ და მეორე მეოთხედი ისეთივე ანგარიშით — 30:21 მოიგეს, მესამეში 25:13 იძალეს და არც მეოთხეში ამოასუნთქეს ტრაბახა მეტოქე — 31:16.

მაშინ, როდესაც ვიცე-ჩემპიონი უიღბლო დებიუტის შემდეგ ფერზე მოდის და აგერ, ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგო, ჩემპიონს მარცხები გაუიაფდა. „მაიამის" კვლავ ვერ მოუხერხებია უარყოფითი ბალანსის გადადებითება, მის წაგებათა გრაფაში უკვე 6 წერია და არც ის გაჰკვირვებია ვინმეს, ფლორიდელებმა ოკლაჰომა სიტიში „ნიუ ორლეან ჰორნეთსაც" რომ ვერ დააჭირეს ყურებზე ხახვი.

**კოტე ყორშია**



# ლიგის ლიდერები

## ქულები

| | |
|---|---|
| 1 კარმელო ენტონი (დენვერი) | 30,8 |
| 2 მაიკლ რედი (მილუოკი) | 29,5 |
| 3 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 28,7 |
| 4 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 28,5 |
| 5 ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 28,0 |
| 6 პოლ პირსი (ბოსტონი) | 27,9 |
| 7 ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 27,5 |
| 8 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 27,4 |
| 9 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 27,4 |
| 10 რეი ალენი (სიელტი) | 26,8 |
| 11 იაო მინი (ჰიუსტონი) | 26,4 |
| 12 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 26,0 |
| 13 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი) | 25,8 |
| 14 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 24,0 |
| 15 კევინ მარტინი (საკრამენტო) | 23,7 |
| 16 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 23,0 |
| 17 რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | 22,9 |
| 18 რაშარდ ლუისი (სიეტლი) | 22,8 |
| 19 კარლოს ბუზერი (იუტა) | 21,8 |
| 20 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 21,8 |
| 60 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 15,4 |

## მოხსნები

| | |
|---|---|
| 1 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 14,1 |
| 2 კრის ბოში (ტორონტო) | 12,7 |
| 3 კარლოს ბუზერი (იუტა) | 12,6 |
| 4 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 12,0 |
| 4 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 12,0 |
| 6 ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი) | 11,5 |
| 7 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 11,4 |
| 8 მარკუს კემბი (დენვერი) | 11,2 |
| 9 ზაკ რენდოლფი (პორტლენდია) | 10,7 |
| 10 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 10,5 |
| 36 ჯო სმიტი (ატლანტა) | 7,5 |
| 49 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 6,9 |

## პასები

| | |
|---|---|
| 1 სტივ ნეში (ფინიქსი) | 11,4 |
| 2 კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 9,4 |
| 3 ანდრე მილერი (დენვერი) | 9,0 |
| 4 დერონ უილიამსი (იუტა) | 8,9 |
| 5 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 8,5 |
| 6 ტი ჯეი ფორდი (ტორონტო) | 8,3 |
| 7 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 8,1 |
| 8 ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 8,0 |
| 9 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 7,7 |
| 10 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 7,1 |
| 24 ტაირონ ლუ (ატლანტა) | 5,0 |

## ჩაჭრები

| | |
|---|---|
| 1 რონ არტესტი (საკრამენტო) | 3,2 |
| 2 ბრევინ ნაითი (შარლოტი) | 2,1 |
| 3 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 2,1 |
| 4 ჟილბერტ არენასი (ვაშინტონი) | 2,0 |
| 4 კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 2,0 |
| 6 ბენ ვოლესი (ჩიკაგო) | 1,9 |
| 7 კევინ მარტინი (საკრამენტო) | 1,9 |
| 8 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 1,8 |
| 8 ანდრე მილერი (დენვერი) | 1,8 |
| 10 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 1,7 |

## დაფარება

| | |
|---|---|
| 1 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 4,1 |
| 2 ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 3,5 |
| 3 ანდრეი კირილენკო (იუტა) | 2,6 |
| 4 მარკუს კემბი (დენვერი) | 2,3 |
| 5 სამუელ დალემბერტი (ფილადელფია) | 2,2 |
| 5 ანდრის ბიედრინსი (გოლდენ სტეიტი) | 2,2 |
| 5 დარკო მილიჩიჩი (ორლანდო) | 2,2 |
| 5 რაშიდ ვოლესი (დეტროიტი) | 2,2 |
| 9 კედრიკ პერკინსი (ბოსტონი) | 2,1 |
| 10 ჯოშ სმიტი (ატლანტა) | 2,0 |

# ბოლო ნაბიჯის მატჩი

## ბორჯღალოსნები პორტუგალიაში მოსაგებად მიდიან

ერთი ნაბიჯიც და საქართველოს სარაგბო ნაკრები 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. შაბათს ბორჯღალოსნები ლისაბონში პორტუგალიას დაუპირისპირდებიან და ორი კვირის წინანდელი, თბილისური 14-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნების შემთხვევაში, საწადელს აისრულებენ. ქართულმა გუნდმა წინასამატჩო სამზადისი საფრანგეთში გაიარა. ნაკრების თავკაცებმა საპორტუგალიო ოცდაორი ქალაქ კლერმონ-ფერანში შეკრიბეს, ლისაბონში კი ამ დილით გაემგზავრებოდნენ. ნაკრების მენეჯერ *ვასილ აბაშიძეს* გუშინ საფრანგეთში შევეხმიანეთ



ბადრი კოთოლაძის ფოტო

— მესამე დღეა, გუნდი სრული შემადგენლობით და სრული დატვირთვით ემზადება. აქაური პირობებით ყველა კმაყოფილია. ბიჭებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი. უმნიშვნელო პრობლემებიც კი არ არსებობს. ასე რომ, მხოლოდ შაბათის მატჩზე და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურზე ვფიქრობთ.

— ტრავმა ხომ არავის აწუხებს?

— მიკროტრავმები კი არის, მაგრამ ეს უმნიშვნელოა. თამაშამდე სამი დღეა და ყველა მწყობრში იქნება. ამჟამადაც ყველა ვარჯიშობს. ერთადერთი დანაკლისი ჯერ კიდევ შეკრების დაწყებამდე განვიცადეთ. მწვრთნელების მიერ წინასწარ განაცხადში შეყვანილი აქვსენტი გიორგაძე შაბათს აქაური ჩემპიონატის მატჩში დაშავდა და მის ნაცვლად საპორტუგალიო განაცხადში გიორგი კუთარაშვილს უხმეს.

— პორტუგალიაში როდის ჩახვალთ?

— თამაშამდე ორი დღით ადრე. 23 ნოემბერს საღამოს ლისაბონში უკვე მსუბუქად წავარჯიშებაც დავგეგმეთ.

— 14-ქულიანი ჰანდიკაპის მქონე გუნდი საპასუხო შეხვედრაში როგორ ტაქტიკას აირჩევს?

— ჯობს, ამაზე მწვრთნელებმა ისაუბრონ. მე თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ლისაბონში ხელით თამაშს და ბურთის შენარჩუნებას მეტი ყურადღება მიექცევა.

— ლისაბონური მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს თბილისშიც ვნახავთ...

— თამაში შაბათს, ჩვენი დროით, საღამოს შვიდ საათზე დაიწყება და ტელეკომპანია „მზის" საშუალებით პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ეს რომ შევიტყვეთ, საბრძოლო შემართება გაგვიათმაგდა. ბევრ მატჩისწინა შეკრებაზე ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი განწყობა ჯერ არასოდეს მინახავს. ბიჭები საომრად ემზადებიან. პორტუგალიაში არათუ ორი კვირის წინ მოპოვებული ჰანდიკაპის შესანარჩუნებლად, არამედ მოსაგებად მივდივართ. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გამარჯვებით უნდა მოვიპოვოთ. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და აქვე საქართველოს რაგბის კავშირის სპონსორებიც ვახსენო. დეველოპერული კომპანია „სევენ სქაი", საქართველოს საჰაერო ნავიგაცია და „ბტა სილქ როუდ ბანკი" საქართველოს რაგბის განვითარება-აღორძინებაზე ზრუნავენ. მადლობა რადიო „ფორტუნას" საინფორმაციო მხარდაჭერისთვის.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს საპორტუგალიო ნაკრები

შერკინება: დავით ზერაქაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ხინჩაგაშვილი, გიორგი კუთარაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, მამუკა გორგოძე, ილია ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, რატი ურუშაძე, გია ლაბაძე, ბესო უდესიანი, ილია მაისურაძე

უკანა ხაზი: ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი გიორგაძე, რეზო გიგაური, ირაკლი მაჩხანელი, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, გიორგი ელიზბარაშვილი, თემურ სოხაძე



# ამას ამაო შეტევა

## შავმა ზღვამ მოქცევა დაიწყო

სეზონის დამაგვირგვინებელი დიდი ბაშოს დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ქართველმა სეკიტორმა ლევან ცაგურიამ ზედიზედ მეორე ქულა მიითვალა. ჯერ კიდევ კომუსუბი კოკაიმ ამჯერად 115-კილოგრამიან ამას სძლია. მიმდინარე ბაშოზე რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვების მომპოვებელი მონღოლი პირველივე წამიდან აგრესიულ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ „შავი ზღვა" მშვიდად დაუხვდა და მძლავრი კონტრილეთით საჭიდაო წრის მიღმაც გადააბიჯებინა.

კოკაის მომავალი წლიდან მაეგაშირად ჩამოქვეითება რომ ელის, აქედანვე ცნობილია. უარყოფით ბალანსს — მაკეკოსს ჩვენებური ფუკუოკურ ბაშოზე თავს ველარ დააღწევს, სულაც ოთხივე დარჩენილი შეხვედრა რომ მოიგოს. ახლა საფიქრალი ისლაა, მინუსი მაქსიმალურად შეამციროს, იანვარში შედარებით მაღალი რანგის მაეგაშირობა რომ ერგოს. მეთორმეტე ტურში ცაგურია კიდევ ერთ მონღოლს, ტოკიტენკუს დაეჭიდება.

ლიდერთა სიაში კი გუშინ არაფერი შეცვლილა. წაუგებელმა იოკოძუნა ასასიორუმ და ერთწაგებიანმა აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა ხომასიომ მორიგი ქულები მიითვალეს. დღეს ორივეს უმძიმესი ბრძოლა ელის. „ცისფერი დრაკონი" ფუკუოკას ტრიბუნების ფავორიტს, ვეტერან ოძეკი კაიოს დაეჭიდება, ხოლო ზედიზედ ათი შეხვედრის მომგები ხომასიო ასევე ოძეკის წოდებიანი ტოჩიაძუმას პირისპირ დადგება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



კოტოოსიუმ (მარჯვნივ) კისენოსიტა დასცა



## NHL რეგულარული ჩემპიონატი



# იაგრი იარიზე გოლით მეტია

21 ნოემბერი

**რეინჯერსი 4:0 კაროლინა**

*2:0 1:0 1:0*

1:0 ჰოსა (4), 2:0 შენაჰენი (16), 3:0 იაგრი (34), 4:0 იაგრი (44)

**ანაჰაიმი 5:0 სან ხოსე**

*0:0 2:0 3:0*

1:0 პრონგერი (28), 2:0 გეტცლაფი (38), 3:0 სელიანე (47), 4:0 ბუშემინი (56), 5:0 სელიანე (58)

**ედმონტონი 2:1 კალგარი**

*1:1 0:0 1:0*

0:1 ჰუსელიუსი (7), 1:1 სიკორა(10), 2:1 სიკორა (54)

„რეინჯერსის" ჩეხი სუპერვარსკლავი იაღომირ იაგრი 600 გოლზე არ გაჩერდა და ორ დღეში მოქმედ ჩემპიონ „კაროლინასთან" შეხვედრაში რეგულარულ ჩემპიონატებში პირადი მოგანარი 602 გატანილ შაიბამდე აიყვანა. ამრიგად, იაგრი გახდა ლიგის ისტორიაში საუკეთესო ევროპელი სნაიპერი — ჩეხმა ერთი გოლით გადაასწრო 80-90-იანი წლების ფინელ ლეგენდას იარი კურის.

„კური ჩვენი კერპი იყო. ის იყო მოთამაშე, რომელსაც მთელი ევროპა სიამაყით უყურებდა და მე მოხარული ვარ, რომ ასეთი ჰოკეისტის რეკორდი დავამხე" — განაცხადა იაგრმა, ვინც 34(11+23) ქულით დამაჯერებლად ლიდერობს მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას.

გოლეადორებში კი მოწინავეთა შორისაა კიდევ ერთი რეინჯერსელი ვეტერანი ბრენდან შენაჰენი, ვინც კაროლინასთან მატჩში, მიმდინარე სეზონში მე-17, ხოლო კარიერაში 615-ე გოლი გაიტანა.

იაგრისა და შენაჰენის გარდა ნიუიორკელთა შორის შვედი მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტიც უნდა ვახსენოთ, რომელმაც სტუმრების 34 დარტყმა უვნებელყო და სეზონში პირველი, ხოლო კარიერაში მესამე მშრალი მატჩი ჩაატარა.

შათაუტი, თანაც სეზონში მე-3, კარიერაში კი 24-ე მიითვალა ანაჰაიმელი „მძლავრი იხვების" კარის დარაჯმა ჟან-სებასტიან ჟიგერმაც. კალიფორნიულ დერბიში „იხვებმა" პირწმინდად დაჩაგრეს სან ხოსელი „ზვიგენები" და გამარჯვებულთა შორის ჟიგერთან ერთად აუცილებლად უნდა გამოვყოთ ფინელი ტეემუ სელიანე, რომელმაც ორჯერ აიღო მეტოქის კარი და საკარიერო მოგანარი 499 გოლამდე აიყვანა.

კიდევ ერთი, ოღონდ კანადური, ალბერტას პროვინციის დერბი ედმონტონში იყო და იქაურმა „მენავთობეებმა" ტომაშ სიკორას დუბლით აჯობეს კალგარელ „ალებს".

# ფული, ბევრი ფული

## ფედერერის წლევანდელი ვილანდერის კარიერაა

**2004 წლიდან** მოყოლებული, კორტებზე ყველასა და ყველაფრის წამლეკავმა როჯერ ფედერერმა წელს მართლაც რომ განსაკუთრებული, ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა.

2003 წელს შვეიცარიელმა კარიერაში პირველი სლემტურნირი — უიმბლდონი მოიგო, მაგრამ მაშინ ის, მაინც ელიტის ერთი რიგითი წევრი იყო და მას შემდეგ კი...

მას შემდეგ სამი წელი გავიდა და უკვე დიადთა კოჰორტაში ჩარიცხულმა შვეიცარიელმა ამ სამ წელიწადში გამართული 12 სლემტურნირიდან 8 მოიგო — სამ-სამჯერ უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა და ორჯერ ავსტრალიის ღია პირველობა. დავუმატოთ ამას უამრავი მასტერსი და სხვა, რიგითი ტურნირები, ბოლო ოთხ წელიწადში სამჯერ მოგებული მასტერსის თასი და დავინახავთ, რომ „მხიარულ როჯერსა" და დანარჩენებს შორის უფსკრულია, უზარმაზარი სხვაობაა და ეს სხვაობა რეიტინგებშიც თვალსაჩინოდ აისახება. განთესვის კლასიფიკაციაშიც და საჩემპიონო რბოლაშიც როჯერი უახლოეს მდევარს, ესპანელ რაფაელ ნადალს თითქმის ორმაგი უპირატესობით უსწრებს და ორივე რეიტინგში ფედერერის მიერ მოპოვებული ქულები ყველა დროის აბსოლუტურად სარეკორდო მაჩვენებლებს წარმოადგენს.

ყველა დროისო, რომ ვამბობთ, რეიტინგების შემოღების შემდგომ ეპოქას ვგულისხმობთ, ანუ ათვლის წერტილი 1973 წელია და არავინ იცის, რამდენი სარეიტინგო ქულა ექნებოდა, ვთქვათ, როდ ლეივერს, რომელმაც ისტორიაში ერთადერთმა, ორჯერ — 1962 და 1969 წლებში შეძლო დიდი სლემის გაკეთება, ანუ ერთ სეზონში ოთხივე უმთავრესი ტურნირის მოგება.

სარეკორდოა ფედერერის მიერ საპრიზოების სახით წელს მოპოვებული 8 მილიონზე მეტი დოლარიც. სულ, კარიერაში, შვეიცარიელს უკვე 28,5 მილიონზე მეტი აქვს გამომუშავებული და ამ მაჩვენებლით ყველა დროის ისტორიულ სიაში მხოლოდ დიად ამერიკელებს — პიტ სამპრასსა და ანდრე აგასისღა ჩამორჩება. არადა, შარშან ამ დროს, ამ სიაში ფედერერი მხოლოდ მეშვიდე იყო, მაგრამ წლევანდელი 8 მილიონით მან ერთბაშად გადაასწრო სტეფან ედბერგს, ივან ლენდლს, ევგენი კაფელნიკოვსა და ბორის ბეკერს და ალარც აგასია შორის — ლასვეგასელ ჯადოკაცს შვეიცარიელი ორმილიონნახევრითღა ჩამორჩება.

თუმცა, ერთი მაგრამ ამასთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას. 21-ე საუკუნის საპრიზოები გაცილებით აღემატება წინა საუკუნის, არათუ 70-იანი და 80-იანი წლების, არამედ 90-იანი წლების საპრიზოებსაც და ამის ნათელი ნიმუში ის გახლავთ, რომ ბოლო ათწლეულის ერთ რიგით მეჩოგნეს, ბრიტანელ გრეგ რუსედსკის, ვისაც დიდი სლემის ტურნირების ფინალში ერთადერთხელ უთამაშია, კორტზე ყოფნით უფრო მეტი აქვს ნაშოვნი, ვიდრე რვაგზის სლემტიტულოსან ჯიმი კონორსს და თერთმეტგზის ტრიუმფატორ ბიორნ ბორგს. არადა, კონორსი და ბორგი სულ რაღაც 20-30 წლის წინათ ბრწყინავდნენ, მაგრამ ამ, დაახლოებით მეოთხედ საუკუნეში ჩოგბურთელთა ჰონორარები ისე გაიზარდა, რომ ფულის, ძირითადად, წყვილთა თამაშით მშოვნელი შვედი იონას ბიორკმანი ყველაზე შემოსავლიანთა ისტორიულ სიაში მეცამეტეა, ხოლო მისი შვიდგზის სლემტიტულოსანი თანამემამულე მატს ვილანდერი — მხოლოდ 37-ე და რადგანაც ვილანდერი ვახსენეთ, რაც ამ შვედმა მთელი კარიერის მანძილზე იშოვნა, იმაზე მეტი ფედერერმა, ერთ წლევანდელ სეზონში გააკეთა.

ფულის ამბავში ელიტარულ, 10-მილიონიან ჩოგბურთელთა წრე სადღეისოდ 28 მოთამაშეს მოიცავს და გაისად ეს სია, სავარაუდოდ, ერთი კაცით, რაფაელ ნადალით შეივსება, ვის ანგარიშზეც სადღეისოდ 8 336 939 დოლარია.

AFP



დაბოლოს, გთავაზობთ ხსენებულ ელიტარულ, ანუ იმ ჩოგბურთელთა ჩამონათვალს, რომელთაც საპრიზოების სახით კარიერაში 10 მილიონ დოლარზე მეტი უშოვნიათ (დახრილი შრიფტით მოქმედი ჩოგბურთელები არიან გამოყოფილნი).

| | |
|---|---|
| 1. პიტ სამპრასი | 43280489 |
| 2. ანდრე აგასი | 31152975 |
| 3. *როჯერ ფედერერი* | 28576498 |
| 4. ბორის ბეკერი | 25080956 |
| 5. ევგენი კაფელნიკოვი | 23883797 |
| 6. ივან ლენდლი | 21262417 |
| 7. შტეფან ედბერგი | 20630941 |
| 8. გორან ივანიშევიჩი | 19876579 |
| 9. მაიკლ ჩანგი | 19145632 |
| 10. *ლეიტონ ჰიუიტი* | 16900137 |
| 11. *გუსტავო კუერტენი* | 14706868 |
| 12. ჯიმ კურიე | 14034132 |
| 13. *იონას ბიორკმანი* | 13332819 |
| 14. *მარატ საფინი* | 12778575 |
| 15. მიხაელ შტიხი | 12592483 |
| 16. ჯონ მაკინროი | 12552132 |
| 17. ტომას მუსტერი | 12225910 |
| 18. *კარლოს მოია* | 12001064 |
| 19. *ენდი როდიკი* | 11760406 |
| 20. სერხი ბრუგერა | 11632199 |
| 21. *ტიმ ჰენმანი* | 11487997 |
| 22. პატრიკ რაფტერი | 11127058 |
| 23. *ხუან კარლოს ფერერო* | 10819398 |
| 24. ტომას ენკვისტი | 10461641 |
| 25. პეტერ კორდა | 10448900 |
| 26. ალექს კორეჩა | 10411354 |
| 27. ტოდ ვუდბრიჯი | 10095245 |
| 28. რიხარდ კრაიჩეკი | 10077425 |

# მარცხიანი ნოემბერი

**მინორულ** ტონზე ასრულებენ სეზონს ქართველი ჩოგბურთელები. ამ კვირაში სხვადასხვა რანგის ტურნირებზე სამი ჩვენებური თამაშობდა და ისევე, როგორც ამ თვეში გამართულ სხვა შეჯიბრებებზე, სამივე მათგანისთვის ასპარეზობა ძირითადი ბადის პირველ წრეში დასრულდა.

ძირითადი ბადე იმიტომ ვახსენეთ, რომ ისრაელის ქალაქ რამათ ჰაშარონში, სადაც ITF-ის ეგიდით ქალთა ათათასიანი შეჯიბრი ტარდება, ჩვენმა მანანა შაფაქიძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე კი იმარჯვა, მაგრამ მთავარი ტურნირის პირველივე წრეში უიმედოდ წააგო.

კვალიფიკაციის პირველ ეტაპზე შაფაქიძე თამაშისგან თავისუფალი იყო. მეორე წრეში ქართველმა 6:0 6:2 აჯობა კლასიფიკაციაში 1001-ე ადგილზე მყოფ 19 წლის მასპინძელ ეფრათ ზლოტიკამინის, ხოლო მესამე წრეში 7:5 6:2 მოუგო 15 წლის უკრაინელ იულია კირიენკოს და ძირითად ბადეში გააღწია, მაგრამ იქ ეგრევე 1:6 1:6 დამარცხდა 18 წლის ჰოლანდიელ ნიკოლ ტისენთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 465-ე პოზიცია უჭირავს.

გაცილებით მაღალი დონის, ფრანგული პუატიეს 75 ათასიან ტურნირში იღებდა მონაწილეობას ქართული ქალთა ჩოგბურთის ლიდერი მაკა ჩახნაშვილი და პირველივე წრეში 3:6 6:7 დამარცხდა კლასიფიკაციაში 146-ე ადგილზე მყოფ 19 წლის ხორვატ ივანა ლისიაკთან.

ირაკლი ლაბაძე კი ინგლისური შრესბურის ჰარდზე მიმდინარე 25 ათასიან ჩელენჯერზე ცდიდა ძალებს და სამწუხაროდ, ეს ძალები პირველი ბარიერის გადასალახავადაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი — ირაკლიმ უიმედოდ, 1:6 2:6 წააგო ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ უცნობ შვედთან მიქაელ რიდერშტედტთან.



FIVB VOLLEYBALL WORLD CHAMPIONSHIPS JAPAN 2006

## მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები

იაპონია. 17 ნოემბერი — 3 დეკემბერი

# სლავური სამაია: პოლონეთი, ბულგარეთი, სერბეთი

იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ჯგუფური ეტაპი მიილია და ჩემპიონატიც ახალ სტადიაში შედის. გუშინ იმ თექვსმეტი ნაკრების ვინაობა გაირკვა, რომელიც პირველობისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

თანმიმდევრობით მივყვეთ და A ჯგუფიდან დავიწყოთ, სადაც პოლონეთის ძლევა ვერავინ მოახერხა. გუშინ სლავებმა პირთამდე გავსებული დარბაზის გამაყრუებელ ღრიალს ყურადღება არ მიაქციეს და მასპინძლები დაამარცხეს, თან სეტწაუგებლად. მოიგო არგენტინამაც — პატაგონიელები დიდი ამბიციებით კი ეწვივნენ ამომავალი მზის ქვეყანას, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ადგილი მხოლოდ ბოლო ტურში, ეგვიპტის ძლევის შემდეგ დაიბევეს. ამ სამეულის გარდა ჯგუფიდან პუერტო რიკოც გავიდა, რომელმაც ჩინეთს მხოლოდ მოგებულ-წაგებული სეტების უკეთესი სხვაობით აჯობა.

ყველაზე საინტერესო ბატალიები B ჯგუფში იმართებოდა, სადაც სამი მართლაც ძლიერი ნაკრები თამაშობდა. ბრაზილიამ, საფრანგეთმა და გერმანიამ ერთმანეთი თითოჯერ დაამარცხეს და ამიტომ სამივემ 9 ქულა მოაგროვა. გუშინდლამდე პირველი ადგილის დაკავების საუკეთესო შანსი გერმანელებს კი ჰქონდათ, მაგრამ ბრაზილიელებმა ამარალისა (17 ქულა) და ჟიბას (15 ქულა) თავგამოდების ხარჯზე ევროპელებს სეტიც არ აალებინეს და ჯგუფის სათავეშიც მოექცნენ. საფრანგეთსაც სეტების უკეთესი ბალანსი დაუგროვდა და გერმანელები სულაც მესამეზე ჩამოქვეითდნენ. ჯგუფის მეოთხე იღბლიანი კი კუბა აღმოჩნდა.

დაუმარცხებელი გუნდი C ჯგუფშიც არის — ბულგარელთა მძლეველი ჯერჯერობით არავინ მოიძებნა. სლავების უკან ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული იტალია დადგა. „ამურიმ" ტრადიციულად მძიმედ დაიწყო, მაგრამ ლიდერებმა ნელ-ნელა მოუმატეს და გუნდიც საკუთარ თავს დაემსგავსა. აგერ გუშინაც ვენესუელასთან მატჩში შეუდარებელნი იყვნენ ალესანდრო ფეი 22 (ქულა) და ალბერტო ჩიზოლა (21 ქულა). ამ ორის გარდა ჯგუფიდან ჩეხეთი და აშშ გავიდნენ, რომლებმაც ვენესუელას მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობეს.

D ჯგუფს კიდევ ერთი სლავური ნაკრები, ამჯერად სერბეთი ჩაუდგა სათავეში, რადგანაც პოლონეთ-ბულგარეთის მსგავსად მასაც ჯერ ვერავინ მოერია. ბალკანელებს ბოლო ტურში კანადა შემოებრძლვნათ. მიუხედავად ამისა, ჩრდილოამერიკელებმა ჯგუფიდან მაინც გააღწიეს.

თავიდან სერბებთან წაფორხილების შემდეგ რუსები ლამისაა, დაფრინავენ და იქიდან მოყოლებული ყველას მიწასთან ასწორებენ. გუშინ კი სამხრეთ კორეის ჯერი იყო.

ახლა უკვე მეორე ჯგუფური ეტაპის დრო დგება — პირველი ეტაპის დამძლევი თექვსმეტი საუკეთესო ორ რვაგუნდიან ჯგუფში განაწილდა. თითოეულ მათგანში ორი საუკეთესო ნაკრები გაირკვევა, რომლებიც ნახევარფინალებში გააგრძელებენ ბრძოლას.

ამ ეტაპზე გუნდები ასე განაწილდნენ:

**E ჯგუფი**: სერბეთი, პოლონეთი, რუსეთი, იაპონია, პუერტო რიკო, კანადა, არგენტინა.

**F ჯგუფი**: ბულგარეთი, ბრაზილია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, ჩეხეთი, კუბა.

როგორც ხედავთ, F ჯგუფში ხუთი ძალიან ძლიერი ნაკრები შეიკრიბა და მათ შორის ნახევარფინალის ორი ადგილისთვის უმძიმესი ბრძოლა გაიმართება. არადა, E ჯგუფში იგივე ორი ადგილისთვის რეალურად მხოლოდ სამი ნაკრები — სერბეთი, პოლონეთი და რუსეთი იბრძოლებს.

**ქახა ლომაშვილი**

### A ჯგუფი

V ტური

**პუერტო რიკო 3:1 ჩინეთი**
25:17 25:13 21:25 26:24

**პოლონეთი 3:0 იაპონია**
25:18 25:21 25:23

**არგენტინა 3:1 ეგვიპტე**
25:18 29:31 25:20 25:20

*პოლონეთი 10 ქულა; იაპონია 8; არგენტინა 7; პუერტო რიკო 7; ჩინეთი 7; ეგვიპტე 6*

### B ჯგუფი

V ტური

**საბერძნეთი 3:1 ავსტრალია**
25:20 25:22 22:25 25:23

**ბრაზილია 3:0 გერმანია**
25:13 25:21 25:22

**საფრანგეთი 3:1 კუბა**
25:21 25:19 22:25 25:23

*ბრაზილია 9; საფრანგეთი 9; გერმანია 9 ქულა; კუბა 7; საბერძნეთი 6; ავსტრალია 5*

### C ჯგუფი

V ტური

**ბულგარეთი 3:1 ჩეხეთი**
20:25 25:22 25:20 25:21

**აშშ 3:0 ირანი**
25:19 25:22 25:23

**იტალია 3:1 ვენესუელა**
25:13 22:25 25:21 25:15

*ბულგარეთი 10 ქულა; იტალია 9; ჩეხეთი 7; აშშ 7; ვენესუელა 7; ირანი 5*

### D ჯგუფი

V ტური

**ტუნისი 3:0 ყაზახეთი**
25:19 25:23 26:24

**სერბეთი 3:0 კანადა**
25:18 25:18 25:17

**რუსეთი 3:0 სამხ. კორეა**
25:13 25:21 25:13

*სერბეთი 10 ქულა; რუსეთი 9; კანადა 8; ტუნისი 7; სამხ. კორეა 6; ყაზახეთი 5*



**ალბერტო ჩიზოლამ (№8) იტალიას 21 ქულა მოუტანა**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი V ტური

## A ჯგუფი

### ლევსკი 0:2 ბარსელონა

0:1 ჟიული (4), 0:2 ნიესტა (65)
ლევსკი: პეტკოვი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ვაგნერი, ს. ანგელოვი (ტელკისკი 58), ბორიმიროვი, ბარდონი, ერომოიგბე, იოვოვი (ოგნიანოვი 73), დომოვჩისკი (გ. ივანოვი 57)
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მარკესი (ოლეგერი 63), სილვინიო, მოტა, დეკუ, ჟიული (ხავი 59), ინიესტა (ესკერო 81), რონალდინიო, გუდიონსენი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: მილანოვი, ბორიმიროვი
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
42 000 მაყურებელი

### ვერდერი 1:0 ჩელსი

1:0 მერტესაკერი (27)
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ბოროვსკი, ფრინგსი, დიეგო, დ. იენსენი (ჰუნტი 80), კლოზე (კლასნიჩი 90), უგო ალმეიდა (შულცი 87)
მწვრთნელი: თომას შააფი
ჩელსი: კუდიჩინი, ჯერემი, ტერი, ბულარუზი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ჯ. კოული, ბალაკი (რაიტ-ფილიპსი 77), დროგბა (შევჩენკო 59), მიკელი (რობენი 59)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ბოროვსკი, ტერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
37 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 10:4 | 8 |
| ლევსკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |

## B ჯგუფი

### სპარტაკი 2:2 ბაიერნი

1:0 კალინიჩენკო (16), 1:1, 1:2 პიზარო (22, 39), 2:2 კოვაჩი (72)
სპარტაკი: ზუევი, ჟირანეკი, ჟედერი (რებკო 87), შტრანცლი, შიშკინი, ბისტროვი, რ. კოვაჩი, მოცარტი, ტიტოვი, კალინიჩენკო, პავლიუჩენკო
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, დემიკელისი, ვან ბუიტენი, ლელი, ვან ბომელი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 84), შვაინშტაიგერი, მაკაი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მოცარტი, ბისტროვი
მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)
25 000 მაყურებელი

### ინტერი 1:0 სპორტინგი

1:0 კრესპო (36)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსო (ბურდისო 90), ძანეტი, ვიეირა, დაკური, სტანკოვიჩი (კამბიასო 82), კრესპო, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
სპორტინგი: რიკარდუ, ტონელი, ტელო, ანდერსონ პოლგა, მ. კანეირა (აბელი 15; ველოზო 27), კ. პარედესი, ფარნერუდი (მარტინში 57), კუშტუდიუ, მუტინიუ, ნანი, ბარბოსა
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: მაიკონი, პარედესი, ნანი, სტანკოვიჩი, კუშტუდიუ
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:4 | 9 |
| *სპორტინგი* | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |

## C ჯგუფი

### ბორდო 3:1 გალათასარაი

1:0 ალონსო (22), 2:0 ლასლანდი (47), 3:0 ფობერი (50), 3:1 ინამოტო (73)
ბორდო: რამე, ფობერი, ენაკარხირე, პლანუსი, ჟურიეტი, ა. ალონსო, მავუბა, ვენდელი (დუკასე 68), მიკუ (დალმა 79), ლასლანდი, დარშევილი (ობერტანი 46)
მწვრთნელი: რიკარდო გომეში
გალათასარაი: მონდრაგონი, საბრი, რ. სონგი, თოლგა, ჯიჰანი, ჰ. შაში (ერგუნი 69), ინამოტო, აიჰანი, თურანი, ჰ. შუქური (მეჰმეთი 63), ილიჩი (უმით ქარანი 46)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: საბრი, შაში, ინამოტო, ენაკარხირე, ვენდელი
გაძევება: თურანი (59)
მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)
22 834 მაყურებელი

### ლივერპული 2:0 პსვ

1:0 ჯერარდი (65), 2:0 კრაუჩი (89)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (ბელამი 79), ხ. ალონსო (ზენდენი 21), ჯერარდი, მარკ გონსალესი (ლუის გარსია 36), კრაუჩი, კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
პსვ: გომეში, კრომკამპი, მ. და კოშტა, ალექსი, სალსიდო, ე. მენდესი (ბეერენსი 81), სიმონსი, ფეჰერი (ტარდელი 58), აფელაი, ფარფანი, ა. კონე
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
41 948 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| პსვ | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| *ბორდო* | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| გალათასარაი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

## D ჯგუფი

### შახტარი 1:0 რომა

1:0 მარიკა (62)
შახტარი: შუსტი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი, ფერნანდინიო (გაი 90), დულიაი, ტიმოშჩუკი, ჟადსონი (ელანო 81), ბრანდაო, მარიკა (აგაპოვა 75)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
რომა: დონი, კასეტი, მექსეში, ფერარი (დ. პიზარო 69), პანუჩი, დე როსი, პეროტა, ტადეი, აკვილანი (მონტელა 78), მანსინი (ვუჩინიჩი 78), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: პეროტა, კასეტი, პიზარო
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
18 673 მაყურებელი

### ვალენსია 2:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ანგულო (45), 2:0 მორიენტესი (46)
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, რ. ალბიოლი, აიალა, კურო ტორესი, ხოაკინი, ბარახა (უგო ვიანა 86), პალარდო, დ. სილვა, ვილია (მორიენტესი 22), ანგულო (ტავანო 75)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი, ჟულიო სეზარი, კოსტულასი, ჟევლაკოვი, ოკასი, სტოლტიდისი (ბაბანგიდა 63), ჯორჯევიჩი, კასტილიო (ბორხა 70), რივალდო, კონსტანტინუ (მარიჩი 16)
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: ჟევლაკოვი, მარიჩი, პალარდო, კასტილიო, ალბიოლი, პანტოსი, აიალა
მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)
38 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| რომა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| შახტარი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |



ლივერპული — პსვ. 65-ე წუთი: სტივენ ჯერარდის პენალტმა ჯგუფში პირველი გაარკვია

AFP ლოგოტიპიდან

# ჯერ არ მომხდარა...

A ჯგუფში ყველაფერი „კამპ ნოუზე", ბოლო ტურში გადაწყდება: „ჩელსის" მომგებმა „ვერდერმა" თუ „ბარსელონასთან" ფრეს მიაღწია, მერვედფინალში გავა.

მოიგო „ბარსელონამაც", თუმცა მატჩის შემდეგ კატალონიელებს დიდი სიხარული არ ეტყობოდათ — წინ ხომ გერმანელებთან ძნელი ჯახი ელით... რაც ლიგა არსებობს, ჯერ არ მომხდარა, წინა ჩემპიონს ტურნირი ჯგუფური ეტაპიდან დაეტოვებინოს.

„სპარტაკმა" და „ბაიერნმა" ფრე ითამაშეს, ხოლო „ინტერმა" „სპორტინგი" დაამარცხა და მერვედფინალში გერმანელები და იტალიელები გავიდნენ, „სპარტაკი" კი უეფას თასზე ითამაშებს, ბოლო ტურში „სპორტინგს" თუ მოუგო.

ფრანგულმა „ბორდომ" „გალათასარაი" შეჭამა, „ლივერპულმა" კი პსვ გააკრა ბეჭებზე. რაფა ბენიტესის გუნდი ჯგუფს პირველ ადგილზე დაასრულებს, „ბორდო" კი უეფას თასზე გადავა.

„ვალენსიას" მისია შესრულებულია. დავიდ ვილია კი დაშავდა, მაგრამ მესტალიელებმა პირეოსული „ოლიმპიაკოსი" მაინც დაამარცხეს და D ჯგუფში გალიდერდნენ. დონეცკის „შახტარმა" კი ძალიან იყოჩაღა, „რომას" მოუგო. მეორე მერვედფინალისტის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა.



სპარტაკი — ბაიერნი. რუსულ-გერმანული შეხლა ხელოვნურ საფარზე: მაქსიმ კალინიჩენკო და მარტინ დემიკელისი

AFP მოსკოვიდან

### უნგრეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

რეაკი 4:3 *ზალაეგერსეგი* (0:1)
*დებრეცენი* 3:0 დუნაუივაროში (1:0)
დიირმოტი 1:3 *ფერენცვაროში* (0:1)
*დიოშდიორი* 4:1 შოპრონი (2:1)
ვაცი 1:1 *ვაშაში* (1:2)
კაპოშვარი 0:4 *ჰონვედი* (1:1)

### შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

პარტიკი 1:1 კლაიდი
როსი 2:2 სენტ ჯონსტონი

### ავსტრია

თასის
მერვედფინალი

გრაცერი 0:2 ზალცბურგი

### ხორვატია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები

სლავენი 6:0 ზაგრები
რიეკა 3:1 კონავლიანინი

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

აალენი 0:0 დარმშტადტი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge